# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 ივლისი 2003 №126 (1897) | ფასი 50 თეთრი

# ჩვენთან, საქართველოში



## რატომ ეღიმებათ შუშაკის მეგობრებს და რატომ არ ეღიმება თავად მას

დღეისსწორს თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანური „ტირანა“ ელის. სექტემბერში ალბანელებთან თამაში საქართველოს ნაკრებსაც უწევს.

მოგეხსენებათ, „დინამო“ და ეროვნული გუნდი ოდენ ალბანურად არ უკავშირდებიან ერთმანეთს, შესაძლოა, სულ მალე ორივეს ისევ ერთი მწვრთნელი ჰყავდეს, ივო შუშაკი. უფრო სწორად, ხორვატმა ამ რამდენიმე დღის წინ გაახანგრძლივა კონტრაქტი „დინამოსთან“ კიდევ ორი წლით, ფედერაცია კი მის ნაკრებში დატოვებაზე ნატირანევს იმსჯელებს.

ამასობაში მთავრდება „დინამოს“ გერმანული შეკრება და მომდევნო ოთხშაბათამდე ჩვენი მთავარი სალაპარაკო თემაც საჩემპიონთალიგო მატჩისთვის მზადება იქნება.

დინამოელები შეკრებას ზეგ ასრულებენ, მაგრამ ივო შუშაკი უკვე ახლავე ლაპარაკობს მის სარგებლობაზე.

— შემიძლია ვთქვა, რომ „ტირანასთან“ სათამაშოდ უკვე მზად ვართ — თქვა შუშაკმა „სარბიელთან“ ინტერვიუში და ეს მიუხედავად იმისა, რომ ალბანელებთან ვერ ითამაშებენ რატი ალექსიძე და ალბათ, კარლოს და როჩაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს მატჩი „ეროვნულზე“ დახურულ კარს მიღმა ჩატარდება და მიუხედავად იმისა, რომ „დინამომ“ ბოლოსწინა საკონტროლო მატჩი გერმანული ობერლიგის „ულმთან“ წააგო, ხოლო „ტირანამ“ თავისი ამხანაგური შეხვედრა უნგრულ „ფერენცვაროშთან“ სათავისოდ დაამთავრა.

მაგრამ შუშაკი კმაყოფილია და ვინძლო ერთი კვირის მერე ჩვენც კმაყოფილები დავრჩეთ.

ინტერვიუ ივო შუშაკთან იხილეთ მესამე გვერდზე

# ზაზამ დააფარა?



## ლებრონ ჯეიმსი: ფაჩულიას საკონტრაქტო შანსი

დღეს, გამთენიისას ზაზა ფაჩულიამ პირველად ითამაშა ორლანდოში. იქ საზაფხულო ანუ გამოსაცდელი მინი-ლიგა დაიწყო და „მეჯიქი“ იმ კალათბურთელებით მონაწილეობს, რომლებსაც კლუბთან კონტრაქტი ოცნებად აქვთ. ამათ შორისაა 19 წლის ქართველი ცენტრიც.

„ორლანდო“ თავის პირველ მატჩში შეხვდა „კლივლენდს“, რომელსაც საზაფხულო ლიგაზე თავისი ფულის საბეჭდი მანქანა ლებრონ ჯეიმსი ჩაუყვანია. ამ 18 წლის ახალბედას იქ ყოფნამ ლიგისადმი ყურადღება გააათმაგა, ზოგიერთმა ტელეკომპანიამ პირდაპირი რეპორტაჟითაც გადასცა ლებრონის პირველი მატჩი დრაფტის შემდეგ, „მეჯიქის“ შინაურ დარბაზ „უოთერჰაუზში“ ხომ რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა ყველა ბილეთი.

ამ საყოველთაო ყურადღების ფოკუსში ზაზა ფაჩულიასაც გაუათმაგდა ამერიკელებისთვის თავის მოწონების შანსი. მან ლებრონივით სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში, ასე რომ, მოედანზეც უცილობლად გადაეყრებოდა მას. ზაზა გუშინ ხუმრობდა, ლებრონს ერთს დავუფარებ და „ორლანდოსთან“ კონტრაქტსაც გავინაღდებო.

მატჩისშემდგომი ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან იხილეთ მე-12 გვერდზე.



# ტირანამ დინამოს 2:1 მოუგო

## ულმმა თბილისელებს ცივი წყალი გადაასხა



ვიტალი დარასელია

**მაშინ,** როცა უნგრეთში მოსამზადებლად მყოფი ალბანური „ტირანა“, თბილისის „დინამოს“ მეტოქე ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ამხანაგურ მატჩში მასპინძელ „ფერენცვაროშს“ ამარცხებდა, ჩვენებმა რუიტის მახლობლად ობერლიგის „ულმთან“ 1:2 წააგეს. საბოლოოდ „ტირანამ“ ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა და „ფერენცვაროშთან“ მატჩზე „დინამოს“ მზირი გივი ნოდიაც ჩააფიქრა. თბილისელთა სპორტული დირექტორის თქმით, რომელიც გუნდს ბუდაპეშტიდან წუხელვე დაუკავშირდა, „ტირანა“ საკმაოდ ძლიერი და ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი გუნდი ყოფილა. დაწვრილებით ინფორმაციას კი მეტოქეზე გივი ნოდია ივო შუშაკს დღეს მიაწვდის.

„დინამოს“ გერმანული ამბები კი კლუბის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვიამბო.´

ჩვენებმა გოლები ზედიზედ, ორ წუთში გაუშვეს, ორჯერვე კრისტიან ვაილერისგან. მან ჯერ შორიდან ცხრიანში გაუტანა ზოიძეს, მერე კი მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა იყოჩაღა. „დინამომ“ მეორე ტაიმში, 53-ე წუთზე მოახერხა სხვაობის შემცირება — საჯარიმოში მელქაძის ჩაწოდებული ბურთი ახალაიამ გაიტანა. ლევან მელქაძე სადებიუტო მატჩში ერთობ მოწადინებული იყო, ბევრი იშრომა და რამდენიმე მწვავე პასიც გააკეთა — ორჯერ კი თანაგუნდელები მეკარეს შეატოვა. მელქაძის პასით დარასელიას გაჰქონდა კიდეც, მაგრამ კარის ხაზზე ახალაიამ ბურთს თავი მიაყოლა, რაც გერმანელი მსაჯებისთვის თამაშგარეს დაფიქსირების საბაბი გამოდგა.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ზოიძე (გვარამაძე 46), შაშიაშვილი (ექონია 85), ამისულაშვილი, ხიზანიშვილი (წერეთელი 46), კვირკველია (სახვაძე 46), დარასელია (კანდელაკი 46), გოგობერიშვილი (ტესერი 46), ბურდული (კარლოსი 46), ანჩაბაძე (სამხარაძე 46), მელქაძე (იაშვილი 63), ახალაია (ფრედერიკო 68).*

აღსანიშნია, რომ დარასელიამ, ისევე როგორც „მიუნხენთან“ მატჩისას, კუთხურიდან ბურთი, თითქოს უმიზნებსო, ახლაც ხარიხას გაარტყა. და ისიც, რომ გაგანია თამაშისას მოედნის სარწყავი სისტემა მოიშალა და ფეხბურთელებს ცივი შხაპის მიღებამ მოუწიათ.

რაც შეეხება „დინამოს“ უცხოელებს, გუნდი ლაკიჩმა და კოვაჩმა უკვე დატოვეს, გუშინ ნათამაშევი ტესერი და ფრედერიკო მათ გზას დღეს-ხვალ დაადგებიან. მწვრთნელმა ივო შუშაკმა კი „ულმთან“ მარცხი შეგირდთა ზედმეტი თავდაჯერებულობით ახსნა, ეს წაგება ბიჭებისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნებაო.

დინამოელები ხვალ გერმანიაში ბოლო საწვრთნელ მატჩს სამოყვარულო „მანინგენთან“ გამართავენ, შაბათს კი თბილისში ჩამოვლენ.

**კობა ინასარიძე**

# პარასკევია დღესაო

## ტყუპისცალი კონტრაქტს უნდა შესწვდეს



**არჩილ არველაძე** ახლა ბილეფელდშია და დიდი შანსია, იქაურ „არმინიასთან“ გააფორმოს კონტრაქტი.

30 წლის ქართველი შემტევი ბილეფელდელ მწვრთნელ ბენო მიოლმანს თვალში მოუვიდა — აჩიკომ „არმინიას“ შემადგენლობაში სამი საკონტროლო მატჩი ითამაშა.

არველაძეს უკვე სამედიცინო შემოწმებაც ჩაუტარეს, თუმც ბოლომდე არა — გულის დატვირთვის ტესტი აჩიკოს ჯერ არ გაუვლია, რადგან ფეხის კუნთი ოდნავ დაეჭიმა და სტატიკური ველოსიპედის სატერფულების ტრიალისგან თავი შეიკავა.

საბოლოოდ ყველაფერი პარასკევს გაირკვევა. სამედიცინო შემოწმების დამთავრების გარდა ფინანსური საკითხებიცაა შესათანხმებელი. მოკლედ, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტყუპისცალი პარასკევს ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნებულ „არმინიასთან“.

**დავით თავართქილაძე**

# ხიზანიშვილმა მაკლიშური ადგილი არველაძესთან მოსინჯა



ზურაბ ხიზანიშვილი

**თბილისის** „ლოკომოტივმა“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — რკინიგზელებმა უმაღლეს ლიგაში აღზევებულ „მცხეთას“ უმასპინძლეს და 2:0 მოუგეს.

პირველი გოლი რევაზ არველაძის შეგირდებმა პირველ ტაიმში გაიტანეს — ლაშა სალუქვაძემ ნაკუთხურალ ბურთს ზუსტი და ღონიერი თავური შეაგება.

მეორე ტაიმში ლოკომოტიველთა რიგებში რეინჯერსელმა ზურაბ ხიზანიშვილმაც ითამაშა, თანაც იმ პოზიციაზე, ალექს მაკლიში რომ უპირებს გამწესებას — საყრდენ ნახევარმცველად. ხიზანიშვილმა მატჩის ბოლო წუთებზე საგოლე პასი მიართვა გიორგი ქორიძეს.

**დავით თავართქილაძე**

# 10 000 შვეიცარიაში. მაშ, რამდენი რკინიგზაში?

## ხომერიკის საუკეთესო ბილბაოა

*29 წლის ლევან ხომერიკი თბილისშია და ვინძლო „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი გახდეს – გუშინ მან რამდენიმე პოტენციურ ლოკომოტიველთან ერთად უბურთოდ ივარჯიშა, მანამდე კი კლუბის მესვეურებთან ჰქონდა შეხვედრა.*

*ხომერიკი სამი წელი შვეიცარიაში ბურთაობდა – ჯერ „არაუში“, მერე ერთი წელიწადი „ვოლენში“. ლევანს გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე შევხდით საინტერვიუოდ*



— რა შეგძინა შვეიცარიაში გატარებულმა სამმა წელმა?

— ბევრი რამ ვნახე. მანამდე ასე დიდი ხნით უცხოეთში არ ვყოფილვარ — ისრაელსა და ბელგიაში ხომ სულ რამდენიმე თვე ვიყავი. შვეიცარიაში პირველ რიგში პროფესიონალიზმი დავინახე. იქ ყველა დარგში ასეა. რაც შეეხება ფეხბურთს, შვეიცარია უმაღლესი რანგის ევროპულ ქვეყნებს ამით ვერ გაუტოლდება, მაგრამ ყველა კლუბში საქმე სათანადო დონეზე კეთდება. ფეხბურთი იქ ერთ მთლიან სისტემაშია მოქცეული, ყველაფერი აწყობილი და დალაგებულია.

— შვეიცარიაში ქართულ ფეხბურთზე საკმაო ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ — ამ შესარჩევ ციკლში მათ ოთხჯერ გავეჯიბრეთ — ორ-ორჯერ ეროვნული და ახალგაზრდულ ნაკრებებით დავუპირისპირდით. რა წარმოდგენა შეექმნათ შვეიცარიაში ქართულ ფეხბურთზე?

— ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებზე ცუდს არ ამბობენ, ძალიან აქებენ მალხაზ ასათიანს. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, თუ როგორ ვითამაშეთ შვეიცარიაში, ყველამ ვიცით და ამას არანაირი კომენტარი არ სჭირდება. თბილისური მატჩი კი თვითონ შვეიცარიის ნაკრებმა ჩაატარა სუსტად — შვეიცარიული პრესა ამ მატჩით ძალიან უკმაყოფილო იყო.

— როგორ ფიქრობ, როგორი ყაიდის თავდამსხმელად ჩამოყალიბდი შვეიცარიაში? თავით თამაშში მოუმატე?

— თავს ყველაზე კარგად ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვგრძნობ. „არაუში“ ხანდახან შემტევ ფლანგურ ნახევარმცველადაც ვთამაშობდი, მაგრამ ჩემი საქმე თავდამსხმელობაა. რაც შეეხება თავით თამაშს, ამით განსაკუთრებულად გამორჩეული არ ვარ, მაგრამ საკმაოდ კარგად ვთამაშობ და შვეიცარიაში თავურებიც გამიტანია.

— რაც აქედან წახვედი, რაღაც-რაღაცეები შეიცვალა. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე რა წარმოდგენა გაქვს?

— სანამ საქართველოს ჩემპიონატში არ ვითამაშებ, მის დონეზე ვერაფერს მოგახსენებთ. მიღებული ინფორმაციით კი ვიცი, რომ ჩვენი ჩემპიონატი ადრინდელთან შედარებით დაძაბული გახდა, ჩემპიონობისთვის 3-4 გუნდს შეუძლია ბრძოლა და არავინ არაფერს არ გითმობს — ეს ძალიან კარგი ტენდენციაა.

— „ბათუმიდან“ თბილისის „დინამოში“ 1995 წელს გადახვედი, თუმც თავიდან ძირითადში დამკვიდრება გაგიჭირდა, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფეხბურთელს კი სათამაშო პრაქტიკა გჭირდებოდა. ხომ არ ნანობ, რომ ადრეულად წამოხვედი „ბათუმიდან“?

— თან ვნანობ, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ამ გადაწყვეტილების წყალობით ძალიან ბევრ რამეზე თვალები ამეხილა და ყველაფერი ეს საჭირო იყო ჩემი როგორც ფეხბურთელის და პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ასე რომ, საბოლოო ჯამში სანანებელი ბევრიც არაფერი მაქვს — 1998 წელს „დინამოში“ ჩემპიონატის ბომბარდირიც კი გავხდი.

— იმავე წელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბილბაოს „ატლეტიკს“ გოლი გაუტანე — შენს კარიერაში იმ მატჩს საუკეთესოდ მიიჩნევ?

— რა თქმა უნდა, ის ჩემი საუკეთესო თამაში იყო — ისეთ სახელიან გუნდს, როგორც „ბილბაოა“, გოლი გავუტანე და თანაც ის მატჩი 2:1 მოვიგეთ.

— იმ შეხვედრაში ბოლო წუთებზეც გმართებდა გატანა, მაგრამ მეკარემ გაჯობა...

— ეს უფრო დაღლის ბრალი იყო — მეორე ტაიმში „დინამო“ ფიზიკურმა მომზადებამ დაალალატა.

— ახლა კი ალბათ ლოკომოტიველი გახდები. რატომ მაინცდამაინც „ლოკომოტივი“?

— იმიტომ, რომ სხვა შემოთავაზება ჯერ არ მქონია. გადაწყვეტილი არაფერია, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ვნახოთ, რა როგორ იქნება.

— მოლაპარაკებების მთავარი თემა პირობებია...

— ძირითადად, ჰო.

— შვეიცარიაში ფეხბურთელის საშუალო ხელფასი რამდენია?

— შვეიცარიაში ყველაზე მდიდარი კლუბები „ბაზელი“ და „გრასჰოპერი“ არიან — ისინი დანარჩენ კლუბებს ერთობ აღემატებიან, განსაკუთრებით „ბაზელი“. დანარჩენ გუნდებში კი ფეხბურთელის საშუალო ხელფასი 10 000 ფრანკია, რაც დაახლოებით 7 ათასი დოლარია.

**დავით თავართქილაძე**

**შვედეთი**

XIII ტური

**ჰამარბი 2:0 ჰელსინგბორგი**

# შუშაკი აბშიაკს უფრთხილდება

## ხორვატს საქართველოში კი მოუხარია, მაგრამ ალბანეთში ჯოჯოხეთს ელის

*თბილისის „დინამოს" ოცდღიანი გერმანული შეკრება ზეგ მთავრდება. საქართველოს ჩემპიონებმა, რომლებიც დაბა რუიტში, გერმანიის ნაკრების ბაზაზე არიან დაბინავებულნი, ხუთი ამხანაგურ-საწვრთნელი მატჩი გამართეს, მეექვსე წუხელ ითამაშეს, ერთიც ხვალისთვის აქვთ დაგეგმილი.*

*ერთი სიტყვით, პარასკევს „დინამო" სეზონისწინა სამზადისს ამთავრებს. სეზონს კი თბილისელები დღეისსწორს, ეროვნულ სტადიონზე „ტირანასთან" მატჩით იწყებენ. ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მეტოქე ალბანეთიდანაა. ალბანეთთან აქვს უახლოესი შესარჩევი მატჩი ეროვნულ გუნდსაც, რომელიც ამჟამად უმწვრთნელოდაა. „დინამოს" თავკაც ივო შუშაკს საქართველოს ნაკრები უკვე დაუმოძღვრავს და ის დღესაც მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლება.*

*აქით „დინამო" და ჩემპიონთა ლიგა, იქით საქართველოს ნაკრები და შუშაკის პასუხი ფეხბურთის ფედერაციის მოსალოდნელ წინადადებაზე, ჩაიბაროს ეროვნული გუნდი... რუიტული შეკრება, დაწუნებული უცხოელები და ახალწვეულები – ივო შუშაკს ამ ამბებზე გერმანიაში შევეხმიანეთ*



**— შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსამზადებელი პერიოდი დამთავრდა. შეკრებისას ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც დაგეგმილი გქონდათ? უკმაყოფილების გრძნობა ხომ არ გრჩებათ?**

— შეკრების დაწყებიდან დღემდე ყველაფერი ისე მიდის, როგორც წინასწარ დავგეგმეთ. არ მაქვს უკმაყოფილების საბაბი. ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება ვერავის შევამჩნიე. გუნდში ისეთი განწყობაა, როგორიც ნაღდ, პროფესიულ დონეს შეეფერება.

**— შეკრების დაწყებამდე გუნდში რამდენიმე ფეხბურთელის მიწვევას აპირებდით. სადღეისოდ კი მხოლოდ ერთის, ლევან მელქაძის გადაბირება მოახერხეთ. გეგმები ხომ არ აგერიათ?**

— საერთოდ, ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდში „ახალი სისხლი" აუცილებელია. ჩვენც ჩამოვწერეთ სასურველი ფეხბურთელების სია. ისინი იყვნენ ნიჭიერი ბიჭები, მაგრამ ზოგიერთმა კლუბმა ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ ისეთი თანხა მოითხოვა, რაც ქართულ საფეხბურთო ბაზარს ძალიან ემძვირება. ახალი ფეხბურთელების შესაძენად შუშაკი თავის ფულს არ ხარჯავს, მაგრამ კლუბის სალაროსაც უფრთხილდება და გაუმართლებელი ტრანსფერების წინააღმდეგია.

**— და მაინც, შეიძინეთ მელქაძე, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე...**

— მელქაძე და წერეთელი. დარწმუნებული ვარ, გუნდს ორივე გამოადგება. ისინი „დინამოს" გააძლიერებენ. მელქაძე ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს „აფეთქდება", ნახტომს გააკეთებს და ექსტრაკლასის ფორვარდად ჩამოყალიბდება. ასეთი ფეხბურთელი გუნდში აუცილებელია. მას დიდი პოტენცია აქვს.

**— რუიტში გასასინჯად ჩამოსულმა უცხოელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ისინი სუსტები იყვნენ, კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ისე ვერა, „დინამო" გაეძლიერებინათ. მაგალითად, ლაკიჩი და კოვაჩი რომ დაგვეტოვებინა, გუნდში კონკურენცია გაიზარდებოდა, სხვა არაფერი. მხოლოდ კონკურენციის ასამაღლებლად კი ფულის გადახდა არ ღირს.

**— თბილისში დაბრუნებული „დინამოსგან" რა სიახლეებს უნდა ველოდოთ? ჩამოხვალთ და რამდენიმე დღეში ოფიციალური მატჩი გელით.**

— შეკრების პირველ დღეებში ბიჭებს საკმაოდ დიდი დატვირთვები მივეცი. საწვრთნელი მატჩების წინ და შემდეგ ყველა ფეხბურთელი სპრინტს დარბოდა, დილაობით ორ საათს ვვარჯიშობდით, საღამოობით მეტხანს. ახლა კი დატვირთვები მნიშვნელოვნად შემსუბუქდა, ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ და შემიძლია ვთქვა, რომ „ტირანასთან" სათამაშოდ უკვე მზად ვართ. თბილისში შაბათს ჩამოვალთ, ორშაბათს კი რვა საათზე ეროვნულ სტადიონზე ღია ვარჯიშს ჩავატარებთ. მიუხედავად იმისა, რომ „ტირანას" ცარიელი ტრიბუნების წინ დავუხვდებით, უქომაგოდ არ ვიქნებით, ვიცი, 16-ში მთელი საქართველო ჩვენთან იქნება. არ დავუშვებ, გუნდში ვინმემ „ტირანა" წინასწარ განწირულად ჩათვალოს და „გრაცერზე" იფიქროს. ეს დამღუპველი იქნება. „დინამოს" ალბანეთში ურთულესი მატჩი ელის, იქ, სტადიონზე, ჯოჯოხეთს მოგვიწყობენ. და თუ გვსურს, „ტირანას" დამარცხების შანსი გაგვეზარდოს, თბილისში გოლი არ უნდა გავუშვათ, ხოლო ჩვენი შეგდებული ყოველი ბურთი წარმატების შანსს გაგვიორმაგებს. მე მჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ცივი გონებითა და ხარის გულით ითამაშებენ.

**— ალექსიძე ტრავმირებულია, ბრაზილიელი კარლოსი ახლახან შემოგიერთდათ. ჩავთვალოთ, რომ „ტირანასთან" ვერც ერთი ითამაშებს, ვერც მეორე და, შესაბამისად, მათი არყოფნით დიდ ძალას დაკარგავთ?**

— რა თქმა უნდა, მათი უთამაშებლობა ჩვენთვის დანაკლისი იქნება. რატის თამაში გამორიცხულია. ის ჯერაც მკურნალობს. კარლოსი კი, მართალია, გვიან შემოგვიერთდა, ერთხელაც დავრწმუნდი ამ ფეხბურთელის პროფესიონალიზმში. ის ბრაზილიაში ვარჯიშობდა, რუიტში ჩამოსულმაც გაორმაგებული დატვირთვები მიიღო და როგორც ჩემმა თანაშემწე ავთო ბერძენიშვილმა მითხრა, ფიზიკურად მზადაა. მიუხედავად ამისა, დღეს ვფიქრობ, რომ კარლოსს 16-ში არ ვათამაშებ.

**— ტაქტიკურ ცვლილებებს ველოდოთ?**

— მნიშვნელოვანს არაფერს. შესაძლოა, საყრდენი ნახევარმცველების რაოდენობა შემცირდეს ან გაიზარდოს.

**— საქართველოს ნაკრებზეც გკითხავთ. ფედერაციამ რომ ეროვნული გუნდის თავკაცობა შემოგთავაზოთ, დათანხმდებით?**

— საწინააღმდეგო არაფერი მექნება, თუმც ვიდრე თანხმობას განვაცხადებ, უნდა ვიცოდე, რომ ფედერაცია, ქომაგი და მასმედია იმ კაცად მთვლიან, ვისაც ნაკრების გაძღოლა შეუძლია და საჭიროა. და, რაღა თქმა უნდა, „დინამოს" ხელმძღვანელობის უკითხავად თანხმობას ვერ ვიტყვი.

უკვე წელიწადნახევარია საქართველოში ვმუშაობ, ეს პერიოდი კი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. სეზონის ბოლოს მე კლუბთან კონტრაქტი დამიმთავრდა, შინ გავემგზავრე, მაგრამ თავში მაინც „დინამო" მიტრიალებდა. სხვაგან მუშაობაზე არც მიფიქრია. როცა „დინამოს" ახალ კონტრაქტზე სიტყვიერად შევუთანხმდი, ხელმოწერას არც დაველოდებივარ და გუნდს რუიტში ჩავაკითხე, ისე მომენატრნენ ბიჭები. ორწლიანი კონტრაქტი კი ოფიციალურად სწორედ აქ გავაფორმე. „დინამო" ჩემი ცხოვრების ნაწილია. როცა ხორვატიაში ვიყავი და მეგობრების წრეში რაიმე ამბავს ვყვებოდი, ხშირად მითქვამს, იქ, ჩვენთან, საქართველოშიო, ჩემიანები კი ილიმებიან, რაო, რაო, შენთან, საქართველოშიო... მოკლედ რომ ვთქვა, ორ სკამზე ჯდომა არ მიყვარს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ის შემთხვევაა, როცა ერთ საქმეს აკეთებ ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ. ქართველ ქომაგთ კი გადაეცით, ივო შუშაკი ბედნიერი კაცი იქნება, თუ საქართველოში მას ისეთივე სიხარულით ელიან, როგორითაც ის გერმანიიდან თქვენკენ მოიჩქარის.

**კობა ინასარიძე**

---

# რატი ალექსიძე ტკივილებს ითმენს

## ნეტა მალე მორჩეს მალა

*თბილისის „დინამოს" წამყვანი ფორვარდი რატი ალექსიძე გუნდს გერმანულ შეკრებაზე რომ ვერ გაჰყვა და ვერც 16 ივლისს „დინამო"-„ტირანას" მატჩს ვერ ითამაშებს, ადრეც გაუწყეთ — ალექსიძე ტრავმირებულია, მას ხერხემალი აქვს დაზიანებული*

**შეგახსენებთ** იმასაც, რომ ალექსიძე წინა სეზონში დაუბრუნდა „დინამოს" ლონდონური „ჩელსიდან" და ივო შუშაკის გუნდს თავდამსხმელის პრობლემაც მას შემდეგ მოეხსნა. რატის ანგარიშზეა „დინამოს" ყველაზე ფასეული გოლი სეზონში — ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში მისი თავურით „დინამომ" სტუმრად „ლოკომოტივს" მოუგო და შუშაკელებმა, ფაქტობრივად, ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ჩემპიონობა.

და, აი, ასეთი ფეხბურთელი გაუსაძლის ტკივილთან მარტო დარჩა. რატი ახლა თბილისშია და თერაპიას იტარებს. ალექსიძეს შინ დავურეკეთ და მისივე ამბავი მოვაყოლეთ:

— ტრავმა 11 ივნისს ირლანდია— საქართველოს მატჩისას მივიღე. შეცვლაზე შესული როგორც კი პირველივე მაღალ ბურთზე ავხტი, ტკივილი ვიგრძენი, რასაც მთელი მატჩის განმავლობაში ვერ დავაღწიე თავი. თბილისში დაბრუნებულს ტრავმა გამირთულდა — ხერხემლის მალები ყოფილა ამოვარდნილი.

— რამდენიმე ექიმს მივმართე. ზოგმა მითხრა, სამ-ოთხ თვეში მოგარჩენო, ზოგმაც ოპერაციის გაკეთება შემომთავაზა, რაზეც უარი ვთქვი, თუმც შედეგი ვერც მასაჟებითა და წყლის პროცედურებით მკურნალობამ მოიტანა.

— ახლა ექიმ ვაჟა კახიანთან ვმკურნალობ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელის რჩევით. თუმც ზუსტად ვერავინ მეუბნება, რამდენ ხანში დავდგები ფეხზე. წოლითი რეჟიმი მაქვს დანიშნული, ფიცარზე ვწევარ და ჯდომაც კი აკრძალული მაქვს. დღეში 20-25 წუთით თუ წამოვდგები.

— ხერხემლის მე-3, მე-4 და მე-5 მალები მქონდა ამოვარდნილი. კახიანმა სამივე მალა ჩამისვა. მე-3 და მე-4 მალები 4 მილიმეტრით იყო ამოვარდნილი, მე-5 მალა კი 6-ით. ახლა ამ ჩასმულ მალებს გამაგრება სჭირდება. ტკივილები კვლავ მაწუხებს, მაგრამ მირჩევნია, ავიტანო, ვიდრე გამაყუჩებლები მივიღო. ახლა აუზი და წყლის თერაპიაც აკრძალულია ჩემთვის. მოკლედ, ლოგინად ვარ ჩავარდნილი და საბოლოოდ როდის გამოვჯანმრთელდები, ჯერ არ ვიცი.

**დავით თავართქილაძე**



რატი ალექსიძეს (მარჯვნივ) საჰაერო ბრძოლა ძვირი დაუჯდა



# ჩიხრაძემ ამერი ამოარჩინა

## საიდან იწყება ფეხბურთი, რომელიც მოედანზე მხოლოდ მთავრდება

*გიორგი ჩიხრაძეს საფეხბურთო რეგალიებით ჩვენში ვერავინ გააკვირვებს. თავის დროზე ეროვნული გუნდის უცვლელი წევრიც იყო და ლეგიონერის მაისურაც ერთ-ერთ პირველთაგანს მოურგია.*

*ჩიხრაძეს ვერავინ გაიხსენებს ულონოს და ბედთან შეგუებულს, მოედანზე თუ მის გარეთ მებრძოლი და ჟინიანი კაცის სახელი ჰქონდა. ერთხანს ფეხბურთიდან წასვლაც დააპირა. 35 წლის ადამიანს ბევრ რამეზე უწევს დაფიქრება, ცხოვრებასაც სულ სხვა თვალით უყურებს. მაგრამ მას ჯანი ისევ ერჩის, მრავალწლიანი გამოცდილებაც ზურგს უმაგრებს და იგი დარჩა. გულმა ისევ მოედნისკენ მიახედა და, პირველად თითქმის თხუთმეტწლიანი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშებს.*

*გიორგი ჩიხრაძესთან ინტერვიუ სანაკრებო ამბებით დავიწყეთ, ეროვნული ჩემპიონატით გავაგრძელეთ და მისი ახალი კლუბით და სამომავლო გეგმებზე საუბრით დავასრულეთ. როგორც ყოველთვის, გუშინაც პირდაპირი იყო, სათქმელი გულში არ დაუტოვებია*



გიორგი ჩიხრაძე „თავის“ საქართველოს ნაკრებში

— ეროვნული ნაკრების დღემდე საუკეთესო შედეგი პირველი შესარჩევი ეტაპისას იყო. მერე და მერე ფეხბურთელებიც დაკაცდით, გამოცდილებაც მეტი იყო, მაგრამ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაში აუხდენელ ოცნებად დაგვრჩა...

— ნაომარი და გახლეჩილი ქვეყნის ნაკრების წევრები პირველ ნაბიჯებს ვდგამდით ევრო და მსოფლიო სარბიელზე. ვერ წარმოიდგენთ, რა ერთსულოვნება სუფევდა გუნდში. ყველა მხრიდან თანადგომას ვგრძნობდით. ხალხს საკუთარი თავი გასჭირვებოდა, მაგრამ ჩვენ სითბოს არ გვაკლებდა. ამას რომ ვხედავდით, დაძაბულობა და ფსიქოლოგიური ტვირთი გვიმსუბუქდებოდა. ფეხბურთელებიც ევროპულ კლუბებში თამაშს და დამკვიდრებას ცდილობდნენ და ჟინით თამაშობდნენ. მაშინ მართლაც გამოცდილებამ დაგვალალატა.

მერე ის მუხტი, რაც ენერგიას გვმატებდა და ჩვენს ნაკლოვანებებს შედარებით აბათილებდა, მოულოდნელად გაქრა. მწვრთნელების ხშირმა ცვლამ ნაკრების ძირითადი ბირთვიც დაშალა. ერთსულოვნება და ჟინი დაიკარგა. საქართველოს ნაკრები ერთ ჩვეულებრივ, არასტაბილურ გუნდად იქცა. ფსიქოლოგიურად დათრგუნულ ნაკრებს პრინციპული თამაშის მოგება აღარ შეეძლო. დიდი-დიდი, კარი გაეჯახუნებინა.

— **ხეირიანი უცხოელი მწვრთნელის მოწვევა თუ უშველიდა საქმეს?**

— თითქმის ყველა შეხვედრაში, რომელიც ჩემი დროის ნაკრებმა დათმო, მეტოქემ ორგანიზებულობით, სათამაშო დისციპლინით, სისწრაფესა და ორთაბრძოლებში დაგვჩაგრა. საქართველოს მაშინ მართლაც კარგი შემსრულებლები ჰყავდა. სწრაფებიც ვიყავით, ტექნიკურებიც და ჯანმაგრებიც, მაგრამ საერთო ჯამში მეტოქე მაინც უკეთესად თამაშობდა. მაშინ რეალურად გამოჩნდა, თუ რა შორს იყო ევროპა ჩვენგან.

— **დღევანდელ ნაკრებს თუ აქვს პერსპექტივა?**

— პერსპექტივა ადრინდელსაც ჰქონდა, მაგრამ თვალსა და ხელს შუა დაიკარგა. მართალია, ძალიან გვინდა, შესარჩევი ციკლი წარმატებით გავლიოთ, მაგრამ ცოტა თუ მიხვდება იმას, რატომ ვერ ვაღწევთ მიზანს. ფეხბურთი მხოლოდ 22 ჯანმრთელი კაცის სირბილი როდია, ის ხომ მოედნის გარეთ იწყება. უთვალავი წვრილმან-მსხვილმანი ერთმანეთს უკავშირდება და მერე მოედანზე მთავრდება ყველაფერი.

ნაკრების ბოლო, ირლანდიური მატჩი გავიხსენოთ. ნახევარდაცვის ორიოდ მოთამაშე დაშავდა და... ივო შუშაკმა შემცვლელები ვერ მოიძია, საქართველომ სამი ფეხბურთელი ვერ გამოიყვანა ისეთი, ტრავმირებულები სრულფასოვნად შეეცვალათ. ევროპაში კი რამდენიც გნებავთ იმდენი ნაკრებია, თითო ადგილზე სამი ერთნაირი მოთამაშე რომ ეგულებათ. ჩვენ ჯერ ადრინდელი შეცდომების გასწორება გვმართებს, წარმატებაზე კი მერე ვიფიქროთ.

— **პირველ და მეორე ეროვნულ ჩემპიონატებში გითამაშია, უცხოეთიდან დროებით მობრუნებულს აქაური გუნდების მაისურა მერეც მოგირგია, გაზაფხულიდან კი ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს ტრიბუნიდან ადევნებდი თვალს. ძველი და ახალი შეადარე.**

— მაშინ ქართულ კლუბებს თითქმის ყველაფერი ჰქონდათ. ხეირიანი ბაზები, სათამაშო თუ საყოფაცხოვრებო პირობები და კარგი შემსრულებლები ნორმალური გუნდის შექმნის საშუალებას იძლეოდა. იმ დროს გამოკვეთილი აუტსაიდერი, ახლა წყალწაღებულს რომ უწოდებენ, თითქმის არ იყო. საქართველოს სამივე ლიგაში ლეგიონერები თამაშობდნენ, უბრძოლველად ქულას ვერსად აიღებდი. მესმის, რომ მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან გადმოყოლილი ცხოვრების პირობები გვქონდა, მაგრამ ფეხბურთი პირველ და მეორე ჩემპიონატებში მართლაც იყო.

მერე და მერე ქვეყანა დაძაბუნდა, ბაზები გაპარტახდა, ფეხბურთელები საზღვარგარეთ გაიკრიფნენ და, ბუნებრივია, დონეც დაეცა. ადრე რამდენიმე კარგი და ბევრი საშუალო დონის გუნდი იყო. ახლა რამდენიმე კლუბს თუ შეეხედება, უმრავლესობა კი სუსტია.

წლეულს რასაც დავაკვირდი, ჩემპიონატში დაძაბულობა და ინტრიგა მართლაც იყო. ნიჭიერი და საზრიანი მოთამაშეები ახლაც არიან და საქართველოს არც არასდროს მოაკლდებიან, მაგრამ საერთო დონე მაინც დაბალია. მიზეზი კი იმ ორგანიზაციულ, სტრუქტურულ და სხვა მოუგვარებელ პრობლემებშია, დალაგებულ ქვეყნებს რომ არ აწუხებთ.

— **თამაში ჯერაც შეგიძლია და არც უმაღლესი ლიგის გუნდში მოწყობა გაგიჭირდებოდა. ახალშექმნილი ფეხბურთის კლუბი „ამერი“ და პირველი ლიგა რატომ ირჩიე?**

— თამაშისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, მწვრთნელობა მინდოდა, მაგრამ „ამერის“ ხელმძღვანელობამ აზრი შემაცვლევინა. შევხვდი იმ ხალხს, დაველაპარაკე, მივხვდი, რომ სერიოზული მიზნები ამოძრავებდათ. დალაგებული ინფრასტრუქტურა, საქმის სწორი ორგანიზაცია, მცოდნე მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, კარგი პირობები და ამ წინადადებამ დამაინტერესა. ვიცი, ეს ხალხი ფეხბურთში ერთი დღით არ მოსულა, წინ სერიოზული მიზნები და სამუშაოა, ამიტომ თითქმის არც დავფიქრებულვარ, გაურკვევლობას სტაბილურობა და პერსპექტივა ვარჩიე.

— **მწვრთნელობაზე ვფიქრობო, თქვი. როდის ვიხილავთ გიორგი ჩიხრაძეს რომელიმე გუნდის მესაჭედ?**

— იქამდე გვარიანი დროა. როგორც ფეხბურთელმა თითქოს ბევრი რამ ვიცი, არაერთ მწვრთნელთან მიმუშავია და ყველასგან გარკვეული ცოდნაც შემიძენია, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ჯერ უნდა ვისწავლო, მწვრთნელი სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად პედაგოგი და ფსიქოლოგიც უნდა იყოს. ალბათ, მოვა დრო, როცა მწვრთნელობას დავიწყებ, მაგრამ დღეს ისევ პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ.

**მამუკა ძვანტალიანი**



ლევან ცქიტიშვილი

# ცქიტიშვილმა და იაშვილმა მოყვარულები გალახეს




ალექსანდრე იაშვილი

**ბუნდესლიგაში** აღზევებული „ფრაიბურგი“ ახალი სეზონისთვის მზადების გაწამაწიაშია. გუნდთან ერთად ვარჯიშობენ ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილიც. ფრაიბურგელები ვარჯიშთან ერთად ამხანაგურ მატჩებსაც არ იკლებენ და აგერ, ხელში სამოყვარულო „ლანგეოგი“ შემოელახათ. ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა 28:1 აჯობეს უსახელო მეტოქეს.

ფინკემ „ლანგეოგს“ ორი შემადგენლობა დაუპირისპირა. პირველ ტაიმში „ფრაიბურგი“ უძლიერესი შემადგენლობით ეთამაშა მეტოქეს, მეორეში კი თავის გამოჩენის შანსი სარეზერვოებსაც მიეცათ. იაშვილი და ცქიტიშვილი, ცხადია, ძირითადში იყვნენ და სამ-სამი გოლითაც გამოიჩინეს თავი. ამდენივე კიდევ ორმა ფეხბურთელმა — რუსმა ბუტმა და მაინერმა გაიტანეს. ყველაზე მეტი — 4 გოლი კი ახალწვეულმა ელერი კაირომ შეაგდო. ის „ფრაიბურგმა“ ჰოლანდიური „ტვენტედან“ გადაიბირა. ამ კლუბში კი, როგორც გუშინ გაუწყეთ, მომავალ სეზონში გოგა გახოკიძე ითამაშებს.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პანჩო ვილიას ნაკვალევზე

*„ბარსელონაში" რევოლუციაა. მართალია, აქ მშრომელთა სისხლით შეღებილი მრისხანე დროშები არ ფრიალებს და „კამპ ნოუც" მეამბოხე პროლეტარების ბარიკადად არ ქცეულა, მაგრამ ბევრი რამ, რაც კატალონიურ გრანდში ხდება, ძალაუნებურად აჯანყებულ მებაირახტრეთა დროებისკენ გვაბრუნებს. კლუბი ძლიერ ცვლილებებს განიცდის და მომავალი პრიმერას დასალაშქრად რევოლუციური თეზისებით აღჭურვილი ემზადება*



რაფაელ მარკესმა (წინ) „ბარსელონა" დაიქინა

## მსროლელი ოკეანისგაღმიდან

ალბათ იცით, პატივცემული ჰოლანდიელი ბურჟუას, ფრანკ დე ბურის ხუან ლაპორტას გუნდთან თანამშრომლობის შეწყვეტის შემდეგ „ბარსა" საიმედო მცველის გამალებულ ძებნაში რომ იყო და აგერ, იშოვა კიდეც — რაფაელ მარკესი უკვე კატალონიაშია.

„მონაკოს" აწ უკვე ყოფილი მექსიკელი მოთამაშე და მშობლიური ნაკრების ღირსეული კაპიტანი 7 ივნისის ღამეს ჩაფრინდა ბარსელონაში, რათა იქაურებთან 4-წლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა.

ფრანგულმა მონარქულმა კლუბმა 5 მილიონ ევროდ დათმო მექსიკური რევოლუციის გმირის, პანჩო ვილიას ფეხბურთელი თანამოძმე (იქამდე 7 მილიონზე იყო ლაპარაკი). ამაში ფრანგებს მარკესიც „დაეხმარა" — ისე გაიფიცა, როგორც ძველ, გამობრძმედილ რევოლუციონერებს სჩვევიათ: „თუ „ბარსელონაში" გადასვლის საშუალება არ მომეცა, აღარც „მონაკოში" ვითამაშებ" — კატეგორიულად განუცხადა მექსიკელმა ფრანგთა განთქმულ დამრიგებელ დიდიე დეშანს.

ამ უკანასკნელსაც სხვა რაღა დარჩენოდა და მონარქიულ ხაზინაში ამბოხებული მარკესის სანაცვლოდ მიღებული ევროები დაასვენა.

წარმატებით დაგვირგვინებული ტრანსფერი კი მარკესმა, მისმა აგენტმა ხორხე მენდესმა, ფრანკ რაიკარდმა და ჩიკი ბეგირისტაინმა ერთ-ერთ პრესტიჟულ კატალონიურ რესტორანში ვიზიტით აღნიშნეს.

მიუხედავად რევოლუციონერობისა, თითო საპრიმერო სეზონში მარკესი 1.25 მილიონ ევროს მიიღებს. „ბარსელონას" მრავალრიცხოვან ინტერნაციონალურ ბრიგადას კი ერთი ყოჩაღი მექსიკელი მსროლელიც შეემატება.

## მცირე ხელფასი, დიდი პრემია: ჯამი არ იცვლება

ხავი ერნანდესის არდადეგები თანაგუნდელებთან შედარებით უფრო გვიან დაიწყო. მხრის მტკივნეული ტრავმის გამო ბარსელონელის სარეაბილიტაციო პერიოდი გვარიანად გაიჭიმა. ბურთთან შეხების წყურვილს კი ვაჟკაც კატალონიელს ვერანაირი ტკივილი ვერ უქრობს.

ამას წინათ ხავიმ LA LUNA DE CAN CASTELLAR-ი მოინახულა. ამ მოედანზე „ბარსელონას" ბავშვთა გუნდი საფეხბურთო ოსტატობის დახვეწას ეშურება. პრიმერადივიზიონის ცეცხლში გამოჯეკილმა ხავიმ ეგებ მომავალ ვარსკვლავებს თავისი ჩუბინობა უჩვენა და შესვენებისას კატალონიელ ჟურნალისტებს ბარსელონურ რევოლუციაზეც ესაუბრა:

— გულახდილად რომ ვთქვა, „ბარსას" ახლებური აზროვნება და ცხოვრებისეული ფილოსოფია სჭირდება. ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ ნაბიჯს სულით და გულით მივესალმები. რაიკარდი? პირადად მე ახალ მწვრთნელს არ ვიცნობ, მაგრამ ჩემი მეგობრები მის შემტევ ტაქტიკას აქებენ, რაც მეც ძალიან მომწონს.

ხელფასის შემცირების თაობაზე კი ბარსელონელი ნახევარმცველი დიდად არ ნაღვლობს: „ჩემი კონტრაქტი ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკის პარამეტრების გათვალისწინებითაა შედგენილი. „ბარსაში" 2007 წლამდე ვრჩები და კონტრაქტის პირობებით, დაბალი ანაზღაურების გამო მოზრდილ პრემიებს მივიღებ".

ხავის ისიც სჯერა, რომ კლუივერტი საბოლოოდ კატალონიაში დარჩება: „ვიმედოვნებ, პატრიკი არსად წავა. ის ჩვენი გუნდისთვის უკიდურესად საჭიროა, რადგან თავის ამპლუაში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია".

სამომავლო რევოლუციურ ჰორიზონტს ხავი ერნანდესი იმედით შესცქერის: „ვალდებული ვართ, „ბარსას" პატივსაცემი ტრადიცია გავაგრძელოთ და ახალი ტიტულები მოვიპოვოთ. 4 წელია, არაფერი მოგვიგია და უკვე დროა, გულშემატკივარი დიდი ფიესტით გავახაროთ" — დასძინა ფეხბურთელმა და იქვე მდგარ კატალონიელ ყრმას ბარსელონური ფაფარი ალერსით აუჩეჩა.

## რევოლუციური შანსი

არგენტინელი ხუან რიკელმეს ბედი მისივე ჯიგიტობაზეა დამოკიდებული. სეზონთაშორისის განმავლობაში „ბარსა" ამერიკას სტუმრობს და იქაური ამხანაგური თამაშები პატაგონიელი ვარსკვლავის კატალონიურ გრანდში დასარჩენად უკანასკნელი შანსი იქნება. და თუ რიკელმე ფრანკ რაიკარდის საფეხბურთო მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, „ბარსელონას" მასთან გამომშვიდობება მოუხდება.

რევოლუცია მსხვერპლს ითხოვს, ამ შემთხვევაში უსისხლოს, მაგრამ მაინც მსხვერპლს.

**ლადო ხომერიძე**



ხავიმ პატარა ბარსელონელებს გაკვეთილი ჩაუტარა



# კაპელოს ნოსტალგია

*ძველი რეალელი ფაბიო კაპელო ახლანდელი სამეფო გუნდის საჭირბოროტო საკითხებით კვლავ ძველებურად არის დაინტერესებული. ესპანური „მარკა" კი „რომას" სახელიან მწვრთნელს „რეალზე", „ბარსელონასა" და სხვა მნიშვნელოვან საფეხბურთო ამბებზე გაესაუბრა*

**— დევიდ ბექჰემის „რეალში" გადასვლას როგორ შეაფასებდით?**

— ეს უმნიშვნელოვანესი ტრანსფერია. დევიდი ძალიან კარგი ფეხბურთელია და თან უზომოდ პოპულარული. მსგავსი აჟიოტაჟი რომელიმე მოთამაშის გამო იშვიათად მინახავს.

**— ტრანსფერი უფრო საფეხბურთო თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი თუ კომერციულით?**

— ფინანსურად ბექჰემის „რეალში" მისვლა ფანტასტიკურად მომგებიანი გამოდგა. მისი მაისურები მთელ მსოფლიოში იყიდება. გარდა ამისა, როგორც გითხარით, იგი კარგი ფეხბურთელია და მისი შეძენა გუნდისთვის დიდი წარმატებაა.

**— სამეფო კლუბში თავისი ადგილის მოძებნა ხომ არ გაუჭირდება?**

— ჩემი აზრით, მან მოედნის ცენტრში უნდა ითამაშოს. „რეალს" ფეხბურთელთა უძლიერესი ბირთვი ჰყავს და დევიდიც, თავისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, მათთან ერთად თამაშს ალღოს მალე აუღებს.

**— დელ ბოსკეს გუნდიდან წასვლის თაობაზე რას იტყოდით?**

— ვისენტე ჩემი მეგობარია, იგი დიდი პიროვნება და შესანიშნავი მწვრთნელია. რაც შეეხება „რეალიდან" მის დათხოვნას, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან კლუბში მიმდინარე მოვლენებს დეტალურად არ ვიცნობ.

**— ფერნანდო იერო?**

— იერო მადრიდელთათვის და ნებისმიერი სხვა გუნდისთვის უდიდესი ძალაა, განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებისა და ვაჟკაცური სათამაშო სტილის ფეხბურთელია.

**— მიუხედავად ამისა, მისი „რეალთან" თანამშრომლობა არცთუ ისე კარგად დამთავრდა.**

— გამიჭირდება ამის შესახებ კომენტარის გაკეთება. ეს უფრო შიდამადრიდული საქმეა.

**— კარლოს კეიროშზე რას იტყვით?**

— კეიროშს იმ ხნიდან ვიცნობ, პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებს რომ თავკაცობდა. კარგი სამწვრთნელო პრაქტიკა აქვს და „რეალი" ამით ფრიად იხეირებს.

**— „ბარსელონამ" წლეულს ძალიან რთული პრიმერა გაწვლო. კატალონიური გუნდის შესაძლებლობებს როგორ შეაფასებდით?**

— „ბარსამ" ზოგიერთი მოთამაშის შეძენაში არანორმალური თანხები გადაიხადა. არადა, მცირე გამონაკლისის გარდა, არ ღირდა ამნაირი ხელგაშლილობა. ბოლო დროს გუნდში მისულთაგან მხოლოდ სავიოლა თუ გამოირჩევა. ისეთმა კლუბებმა, „ბარსელონა", „რეალი" და „მილანი" რომ არიან, მხოლოდ ვარსკვლავები უნდა შეიძინონ, საშუალო დონის მოთამაშეებზე არ უნდა ინადირონ.

**— იტალიურ ფეხბურთს ჩაკეტილი დაცვითი სტილის გამო ხშირად აკრიტიკებენ. თქვენი აზრით, ეს მართებულია?**

— თუ გუნდს უაღრესად ორგანიზებული დაცვის ხაზი აქვს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის დახშული ფეხბურთის მიმდევარია. ჩემს კლუბებში საფეხბურთო ფუნქციები ყოველთვის თანაბრად იყო განაწილებული და გოლებიც ბევრი გაგვქონდა. კაპელოს მწვრთნელობისას „რეალში" შუკერი, მიატოვიჩი, ზეედორფი, ვიქტორი და რობერტო კარლოსი თამაშობდნენ. ამ ბიჭების ბურთაობას ჩაკეტილ დაცვით სტილთან არაფერი ჰქონდათ საერთო.

**— თქვენ დაცვითი ფეხბურთი არ მოგწონთ?**

— მე მომწონს ფეხბურთი, სადაც დაცვას ჯეროვანი ყურადღება ექცევა. ეს კი ერთი და იგივე არ არის. როდესაც თამაშის დროს ბურთთან ჩემი ფეხბურთელები არიან, ყოველთვის მინდა, რომ სწრაფად შეუტიონ და გოლი გაიტანონ. თქვენ ფიქრობთ, იტალიაში მარტო დაცვაა პატივში? მტკნარი სისულელეა. როდესაც ბურთს დაკარგავ, საკუთარი კარის დაცვაზე უნდა იზრუნო. ამაში განსაკუთრებით აპენინური არაფერია. „მანჩესტერს" წინ გამოკვეთილად მარტო ვან ნისტელროი ჰყავს, დანარჩენები მეტწილად უკანა პოზიციებზე მუშაობენ.

**— სანახაობრივი თამაშის მხრივ ესპანეთში უფრო კარგადაა საქმე თუ იტალიაში?**

— ესპანეთში ევროპის მასშტაბით ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. მიუხედავად ამისა, ვნახეთ, როგორც დაამარცხა საბერძნეთის კარგად ორგანიზებულმა გუნდმა ესპანეთის მაღალტექნიკური ნაკრები. საერთოდ კი, ნებისმიერ მატჩს თავისებური მიდგომა სჭირდება.

# წერილს თავზე გადაგახევთ!
## არაგონესი ფაქსით მოხსნეს



შარშან პრიმერადივიზიონში დაბრუნებულმა „ატლეტიკომ“ სეზონი მეთორმეტე ადგილზე დაასრულა. კლუბის პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი ამის გამო მწვრთნელს, ლუის არაგონესს არ გასწყრომია და მის გათავისუფლებასაც არ აპირებდა. თავად პრეზიდენტმა მაისაშივე თქვა, 15 ივნისამდე ჩემს საქმეებს მოადგილეს, ენრიკე სერესოს გადავცემ და პოსტს ვტოვებ, კარგად ბრძანდებოდეთო. არაგონესის მომავალს საფრთხე თითქოს აღარ ემუქრებოდა, რადგან ახირებული კაცი „ატლეტიკოს“ მოშორდა, მაგრამ...

ესპანეთში მწვრთნელების მოხსნის ახალ ხერხებს ხვეწენ. მაგალითად, ხორხე ვალდანო ვისენტე დელ ბოსკეს კლუბის ოფისის დერეფანში შეხვედრია და იქ მიუხლია, თქვენი დრო დამთავრდაო.

ლუის არაგონესთან პირადად შეხვედრაც კი არ იკადრეს, წერილით აცნობეს, სხვა სამუშაო ნახეო. 64 წლის სპეციალისტისთვის ეს, რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელი იყო. „ამ საქმეს ასე არ დავტოვებ — თქვა არაგონესმა — ჩემს ადვოკატს დავუკავშირდები და თუ საჭირო იქნება, სასამართლოშიც ვიჩივლებთ. აუცილებლად გავარკვევ, რამდენად სამართლიანი იყო წერილით ჩემი განთავისუფლება“.

ლუის არაგონესის სავარაუდო შემცვლელია გრეგორიო მანსანო, რომელიც „მალიორკას“ თავკაცობდა და სამეფო თასიც მოიგო.

**გაგა ხუციშვილი**



# გული გაჩერდა

მარკ ვივიენ ფოეს სიკვდილის მიზეზი მისი გარდაცვალებიდან თორმეტ დღეში დაადგინეს.

საქმეში უკეთ გასარკვევად მომხდარის ქრონოლოგიას დავუბრუნდეთ. საბედისწერო მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ექიმმა თქვა, მარკს კარგად ვიცნობდი, ჯანს არ უჩიოდა, ვფიქრობ, გულმა უღალატაო.

კამერუნელთა დასტაქარმა აღნიშნა, ნახევარფინალამდე ორი დღით ადრე კუჭი კი აწუხებდა, მაგრამ შეხვედრის წინა საღამოს სრულიად საღ-სალამათი იყოო.

ვიღაცამ აკრძალული პრეპარატების შესაძლო გამოყენებაზე ჩამოაგდო სიტყვა თუმცა მალევე მიჩუმდა.

ფეხბურთელის ცხედარი ლიონის პროზექტურაში ესვენა და იქ გაკვეთეს. პირველმა ტესტმა აჩვენა, რომ თითქოს გულის ბრალი არ უნდა ყოფილიყო და ტოქსიკოლოგიური ანალიზის გაკეთება გადაწყვიტეს. საბოლოო პასუხი პროზექტურის ექიმ-ექსპერტმა ქსავიე რიშომ გამოაქვეყნა: „სიკვდილის მიზეზი გულის შეტევაა. სტიმულატორების კვალი ვერ ვნახეთ, ეს გამორიცხულია. იგი გულის მარცხენა პარკუჭის უეცარმა გაფართოებამ და გახეთქვამ იმსხვერპლა, რაც პირველი გაკვეთის დროს შეუმჩნეველი დარჩა. მარკს, როგორც ჩანს, გულთან დაკავშირებული პრობლემები ადრეც ჰქონდა, თუმცა მე არ ვიცი, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ მისი გუნდისა და ნაკრების ექიმებმა“.

კონფედერაციის თასის გათამაშების შემდეგ 64 ფეხბურთელის სისხლისა და შარდის ანალიზები დოპინგ-ტესტზე შეამოწმეს და ყველა მათგანი ამ მხრივ სუფთა იყო.

**გაგა ხუციშვილი**

# დორტმუნდში ნიჭი დარჩა
## ცორკს ცაცია ესიამოვნა

დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩეხ ნახევარმცველ ტომაშ როსიცკის არაერთი ევრობობოლა ეკურკურებოდა. კუსპარა ფეხბურთელმა გერმანიიდან წასვლა არ ისურვა და კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. იგი „ბორუსიაში“ 2008 წლამდე დარჩება.

დორტმუნდელთა სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ცორკმა როსიცკის თანხმობით გაიხარა: „ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდა და მოგვარდა. როსიცკი არსად არ მიდის და კიდევ ოთხი წლით დაატკბობს თავისი ნიჭით ჩვენს გულშემატკივრებს“.

თავად ფეხბურთელმა დასძინა: „ბორუსია“ ძალიან ძლიერი გუნდია და მომავალ სეზონში წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ. ახალი კონტრაქტით ჩემს გარშემო მოარულ ჭორები მოვსპე და დავისვენე“.

დორტმუნდში მატებაცაა. დანიის ნაკრების მარცხენა მცველი ნიკლას იენსენი სამი წლით ბორუსიელი გახდა. მის სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტის“ მილიონ 250 ათასი ევრო გადაუხადეს.



ნიკლას იენსენი

„ვფიქრობ, ამ შენაძენით მარცხენა მცველის პრობლემა მოგვარდება“ — თქვა მათიას ზამერმა. მიხაელ ცორკმა კი აღნიშნა: „იენსენი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მარცხენა ფეხს წკეპლასავით ხმარობს და უძლიერესი დარტყმა აქვს. „მანჩესტერ სიტიში“ მატჩი არ გამოუტოვებია და ეროვნულ გუნდშიც ენდობიან“.

**გაგა ხუციშვილი**

# აზიზკაპრიზი
## ჰოიდონკი ფენერს ეტრფის

„ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტმა აზიზ ილდირიმმა ასე იცის, ყოველი სეზონის დაწყების წინ ატეხს რია-რიას, ამას და იმას ვყიდულობთ, ყველაფერი უნდა მოვიგოთო. მერე აღმოჩნდება, რომ მწვრთნელი უვარგისია, ფეხბურთელები კი უკლასონი. ჰაიმ რევივო შარშან „გალათასარაიში“ გაექცა, არიელ ორტეგა — არგენტინაში, ბოლოს უეფას თასის საგზურის გარეშეც კი დარჩნენ.

ამ ზაფხულსაც იგივე ხდება. „ფენერბაჰჩეს“ მწვრთნელად კრისტოფ დაუმი დანიშნეს. გერმანელი სპეციალისტი რამდენიმე წლის წინ „ბეშიქთაშს“ თავკაცობდა და კოკაინის ყნოსვაში რომ ამხილეს, სტამბოლს გაეცალა. მაშინ აზიზ ილდირიმი ბეშიქთაშელებს დასცინოდა, მეკოკაინე კაცს გუნდის მწვრთნელად როგორ ამუშავებდნენ, ფეხბურთელებს რა უნდა ასწავლოსო. ახლა „ფენერის“ პრეზიდენტმა ფირფიტა სათავისოდ გადააბრუნა და მის თვალში კრისტოფ დაუმი უდიდესი პროფესიონალია.

მოკლედ, ახალი მწვრთნელი ჰყავთ და ფეხბურთელებსაც ძებნა დაუწყეს. პირველი სამიზნე ჰოლანდიელი პიერ ვან ჰოიდონკი გახლდათ. მას პირადად დაუმი ესაუბრა და საბოლოოდ ალბათ კიდეც გადაიბირებს. თავად ჰოიდონკი „ფენერს“ სიყვარულში ასე გამოუტყდა: „გალათასარაიდანაც“ არაერთხელ დამიკავშირდნენ, მაგრამ მე თქვენი გუნდი ვარჩიე. ხუთი წელიწადია, ჩემს გადაყვანას ცდილობთ და სხვაში ვერ გაგცვლიდით. კრისტოფ დაუმს რამდენჯერმე შევხვდი და მჯერა, რომ მასთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევთ“.

პიერ ვან ჰოიდონკი კონტრაქტზე ხელს სავარაუდოდ ამ დღეებში მოაწერს და სტამბოლურ კლუბში წელიწადში ერთ მილიონ ევროს მიიღებს.

„ფენერბაჰჩეს“ მსტოვრები ამჟამად სამხრეთ ამერიკაში რამდენიმე იქაური ვარსკვლავის წამოსაყვანად გაემგზავრნენ. აზიზ ილდირიმმა ასე იცის.

**რომან თურქია**



# მადიანი ლიონი

საფრანგეთის ჩემპიონი „ლიონი“ ბაზარზე ფულით ჯიბეგატენილი გავიდა. 8 მილიონ ევროდ „ბასტიიდან“ მიკაელ ესიენი უკვე შეიძინა და ხუთწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

ფრანგული „ეკიპის“ცნობით, მადამოძალებულმა ლიონელებმა მეორე ტრანსფერიც გაჩარხეს. ამჯერად ისინი „ვალენსიას“ გაურიგდნენ. ესპანურ კლუბში „რენის“ მცველი ანტონი რევეიერი ნახევარი წლით იყო განათხოვრებული. რევეირის სანაცვლოდ ლიონელებმა ხუთნახევარი მილიონი ევრო გაიღეს. მცველი ლიონში უკვე ჩავიდა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თავის მომავალს ახალ კლუბს კალმის ერთი მოსმით ხუთი წლით დაუკავშირებს.

„ლიონის“ მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა თვალი მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებსაც მიაპყრო. ხორხე ვალდანომ გასაყიდთა ნუსხა რომ გამოაქვეყნა, ცნობილია. ჰოდა, ნუსხაში ფერნანდო მორიენტესიცაა. პოლ ლე გუენს სწორედ მისი გადაბირება სურს. ლიონელთა აგენტები ვალენსიაში ყოფნისას მადრიდელ კოლეგებსაც შეხვდნენ და მორიენტესის ფასი ჰკითხეს. ესპანელებმა 15 მილიონი ევრო მოითხოვეს, ფრანგები თორმეტს გადიან. ვაჭრობა გრძელდება, რადგან „ლიონის“ მწვრთნელს „სამეფო“ ფორვარდი მისი გუნდიდან წასული სონი ანდერსონის იდეალურ შემცვლელად მიაჩნია. თავად ფეხბურთელის აზრი უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ მან ერთი კვირის წინ „მარსელის“ წინადადება დაიწუნა.

**გაგა ხუციშვილი**



ანტონი რევეიერი

# მაცონე, აწონ-დაწონე!



„ანკონას“ პრეზიდენტი ერმანო პირონი იმედოვნებს, რომ ცნობილი მწვრთნელი, კარლო მაცონე არ შეშინდება და მის გუნდს სათავეში ჩაუდგება.

რის უნდა ეშინოდეს მაცონეს?

„ასკოლის“ ქომაგების, რომლებიც სპეციალისტს საშინლად ემუქრებიან, ასკოლიში, სადაც მაცონეს უმუშავია და, რაც უფრო მთავარია, ცხოვრობს, „ანკონა“ სძულთ — ტიპიური იტალიური სურათია.

ამბობენ, რომ „ანკონას“ წინადადების შემდეგ მაცონეს მეუღლე ასკოლის ერთ-ერთ მაღაზიაში შეურაცხყვეს, მისი ვაჟი კი პლაჟზე გალანძღეს. რაც შეეხება თავად მწვრთნელს, მისთვის მუქარის წერილები მიუწერიათ.

— მაცონესთან პრობლემები არ მაქვს. ჩვენ ყველა პირობაზე შეთანხმებულები ვართ — განაცხადა პერონიმ, თუმცა იქვე დასძინა, რომ თუ მაცონე „ანკონაში“ მუშაობას გადაიფიქრებს, იგი სხვა სპეციალისტს გაურიგდება.

შეგახსენებთ, რომ „ანკონას“ ადრე ლუიჯი სიმონი წვრთნიდა.

**ბაკუნა ძიძია**

# ნედვედური სამსახური



ზდენეკ გრიგერა

ზდენეკ გრიგერა „რომაში“ მიდის. ის მცველია, რომელიც თითქოს „იუვეში“ უნდა წასულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დედაქალაქმა იმძლავრა.

— „რომა“ დიადი გუნდია და დიადი ფეხბურთელები ჰყავს — უთხრა 23 წლის ჩეხმა „კორიერე დელა სერას“ — როგორც მცველი ალდაირსა და კაფუს ვეთაყვანებოდი, მაგრამ ამათ გარდა რომში არიან ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა. პირადად არც ფაბიო კაპელოს ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ სადაც მიდის, ყველგან იგებს.

გრიგერა პრაღის სპარტელია. მისი თამაში რამდენიმე უცხოურ გუნდს მოსწონდა, მაგრამ თავად ყველაზე მეტად იტალიისკენ მიუწევდა გული.

„ჩემი შეძენა ესპანელებს და ინგლისელებს უნდოდათ, მაგრამ მე პაველ ნედვედს ველაპარაკე და მან სერია A მირჩია“ — განაცხადა გრიგერამ.

**ბაკუნა ძიძია**

# ან 11 ცოტაა, ან ყველაფერი ტყუილია

ედგარ დავიდსის გამო ახალი ჭორები დაირხა, მაგრამ ჰოლანდიელი ნახევარმცველის გუნდმა, ტურინის „იუვენტუსმა“ ხმები კატეგორიულად უარყო.

„დავიდსი სატრანსფერო სიაში არ შეგვიტანია და არც შევიტანთ“ — თქვა კლუბის დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ — ის იუვენტუსელია და ასეთად დარჩება, რადგან ეს მოთამაშის სურვილიც გახლავთ და „იუვესიც“.

ერთი სიტყვით, ხმები, თითქოს პიტბულად წოდებული ვარსკვლავი 11 მილიონ გირვანქად ლონდონის „ჩელსიში“ მიდიოდა, ან არ დასტურდება, ან მართალია, რომ „იუვენტუსს“ 11 მილიონი ეცოტავა და 16 მოითხოვა. ცნობისთვის: დავიდსს ახლანდელი კონტრაქტი „იუვესთან“ ერთ წელიწადში გაუდის და თუ მანამდე კლუბმა რაიმე ახალი არ მოიფიქრა, გაისად ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება.

**ბაკუნა ძიძია**

# ლაციოს მუტუ უნდა



ბერნარდო კორადი

„ლაციოს“ თქმით, ბერნარდო კორადის მომავალი უახლოეს დღეებში გაირკვევა — ამ განცხადებას წინ უსწრებდა ჭორები კორადისა და „იუვენტუსის“ შესახებ. მოგეხსენებათ, კორადი ის მოთამაშეა, რომელიც რომაულ კლუბთან ახლებური კონტრაქტის გაფორმებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

„ამ კვირაში ყველაფრის მოგვარებას შევეცდებით — თქვა კლუბის დირექტორმა ორესტე ჩინკვინიმ — კორადი უნიკალური ფეხბურთელია, რომლის დაკარგვა რობერტო მანჩინის არ სურს“.

თავად „ლაციოც“ ფორვარდების ძებნით არის დაკავებული.

„ჩვენი სურვილია, „პარმადან“ ადრიან მუტუ გადავიბიროთ. შესაძლოა, „იუვენტუსიდან“ მარკო დი ვაიოც ვიყიდოთ, მაგრამ მის შეძენას მუტუს შეძენა გვირჩევნია“ — დასძინა ჩინკვინიმ, თუმცა მას კომენტარის გაკეთება სხვა საკითხებზეც მოუხდა. კერძოდ, „ლაციო“ ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ „უდინეზესგან“ დავიდ პიცარის შეიძენს, არადა, ამ ოპერაციაში, წესით, ფაბიო ლივერანისაც უნდა მიეღო მონაწილეობა, იგი პირიქით, „ლაციოდან“ უდინეში უნდა გადაბარგებულიყო.

„ლივერანისა მესმის — ამბობს ჩინკვინი — მე ვესაუბრე უდინელთა შეფს, ლუჩანო სპალეტის და ვკითხე, ვინმე სხვა ხომ არ მოგწონს-მეთქი“.

გარდა ამისა, „ლაციომ“ შეიძლება ბერგამოს „ატალანტადან“ მეკარე მასიმო ტაიბა ან ნახევარმცველი ოსმან დაბო გადაიყვანოს.

**ბაკუნა ძიძია**

# გენუური თეორია



ენრიკო კიეზა

ხმები იმის შესახებ, რომ გენუელი ენრიკო კიეზა „ლაციოდან“ „სამპდორიაში“ დაბრუნდება, ჯერჯერობით გადაჭარბებულია. მოვუსმინოთ „სამპდორიას“ სატრანსფერო საქმეთა შეფს ბეპე მაროტას:

„ამჟამად კიეზასთან არანაირი კავშირი არ გვაქვს. სანამ რამე განხორციელდება, ჯერ რაღაც-რაღაცეები უნდა მოხდეს, ასე რომ, დღეისთვის ეს თეორიაა და მეტი არაფერი“.

32 წლის კიეზა „ლაციოში“ შემცირებული ხელფასით დარჩენას ცივად უარობს. შეგახსენებთ, რომ იგი მშობლიური ქალაქის გუნდში ხუთ წელიწადს გამოდიოდა, თუმცა ყველაზე ეფექტური 1997 წელი ჰქონდა, როდესაც 27 შეხვედრაში 22 გოლი გაიტანა. შემდეგ კიეზა პარმაში გადავიდა, იქიდან „ფიორენტინაში“ მოსინჯა ძალა და ბოლოს „ლაციოში“ ამოჰყო თავი.

**ბაკუნა ძიძია**

# მარტივი ლოგიკა A სჯობს B-ს



ლუჩანო ძაური

„ლაციო“ და „პარმა“ „ატალანტას“ 25 წლის ფეხბურთელის, ლუჩანო ძაურის შეძენაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. მას მერე, რაც ბერგამოელები სერია A-დან გავარდნენ, იტალიის ნაკრების მოთამაშეს სატრანსფერო სიაში უკრაში თავი. თავიდან, თითქოს, „პარმას“ ჰქონდა მყარი პოზიცია, მაგრამ „ლაციომ“ გაბედულად და უყოყმანოდ გაუგზავნა „ატალანტას“ ოფიციალური წერილი, რომელშიც ძაურის ფასი და სხვა ნიუანსები მოითხოვა.

აღსანიშნავია, რომ ძაურის გადაბირება სერია B-ს ამბიციურ გუნდს, „პალერმოსაც“ სურდა, მაგრამ თავად მოთამაშემ სერია A-ში დარჩენა ამჯობინა. ისე კი, „პარმას“ „ატალანტას“ მცველის, ჩეზარე ნატალის ყიდვაც უნდა და არ არის გამორიცხული, ორი ფეხბურთელის ერთდროულად შეძენის პროექტს ამზადებდეს.

რაც შეეხება „ლაციოს“ მეკარეს, ბოლოხანს სათადარიგო ლუკა მარკეჯანის, იგი „კიევოში“ გადასულა. მარკეჯანი ოცდაჩვიდმეტი წლისაა, დედაქალაქში ათი წელიწადი გაატარა და 2000 წელს სკუდეტოც მოიგო, მაგრამ, რაც „ლაციომ“ ანჯელო პერუცი იყიდა, სათადარიგოდ გადაბარგდა.

და, ბარემ მეკარეების თემა განვაგრძოთ: „ტორინოს“ გოლკიპერი, ალექსანდრ მანინგერი შემდგომ სეზონს „ბოლონიაში“ ჩაატარებს. ავსტრალიელმა ახალ გუნდთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინ მანინგერი ლონდონის „არსენალში“ თამაშობდა.

**ბაკუნა ძიძია**

# არ გინდივართ?

## დელ ბოსკემ იტალია აღიარა



მადრიდის „რეალის“ გაგდებული მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე ამბობს, რომ ესპანელების დიდი ნაწილის შეხედულება იტალიურ ფეხბურთზე არასდროს გაუზიარებია.

„იტალიაში, სერია A-ში, რამდენიმე დიდი ფეხბურთელი თამაშობს და სულ არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ ოდესმე მანდ მომიწევს მუშაობა“ — განაცხადა სპეციალისტმა, რომელიც ბევრისთვის მოულოდნელად გაუშვეს თანამდებობიდან.

„იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ იქ, „რეალის“ გასახდელში წყობიდან გამოვედი ან რამე ასეთი? სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, რადგან ჩემსა და ფეხბურთელებს შორის მხოლოდ ურთიერთპატივისცემა სუფევდა. უბრალოდ, ბოლო თვეებში, ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამდე, ვგრძნობდი, რომ რაღაც ძველებურად აღარ იყო“ — დასძინა მან.

**ბაკუნა ძიძია**


სამკურნალო გაერთიანება

„ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კიუელი ბავშვობიდან საყვარელ გუნდში

„ლივერპული“ „ლიდს იუნაიტედისგან“ ჰარი კიუელს სწორედ რომ დროულად ყიდულობს — ლივერპულელები სეზონისწინა შეკრებაზე შვეიცარიაში მიდიან და კიუელიც სრულყოფილად შეძლებს ვარჯიშს.

რამდენადაც „BBC სპორტმა“ შეიტყო, სატრანსფერო ხელშეკრულების ფასი 7 მილიონი გირვანქაა და საკითხის მოგვარებას წინ აღარაფერი უდგას — რამდენიმე დღეში ავსტრალიელი ფორვარდი „ლივერპულთან“ ერთად შვეიცარიაში იქნება. აღსანიშნავია, რომ კიუელის გადაბირება „ლივერპულის“ გარდა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალსაც“ სდომებიათ. ზემოხსენებულ 7 მილიონ გირვანქას „ლიდს იუნაიტედი“ ფულად მიიღებს, კიუელის ხელფასი კი კვირაში 60 ათასი იქნება.

რით აჯობა „ლივერპულმა“ „მანჩესტერსა“ და „არსენალს“? პირველს იმით, რომ საკუთრივ მოთამაშეს არ უნდოდა „ოლდ ტრეფორდზე“ გადასვლა, მეორეს კი იმით, რომ, როგორც გითხარით, მთელი თანხის ფულად გადახდაზე განაცხადა თანხმობა. საინტერესოა, რომ ავსტრალიელი ფორვარდი ბავშვობიდან „ლივერპულს“ ქომაგობს და არ განიცდის, რომ საყვარელ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში არ მოუწევს გამოსვლა.

მოგეხსენებათ, 24 წლის კიუელის გარდა „ლივერპულის“ თავკაცმა ჟერარ ულიემ 4 მილიონ გირვანქად „ფულემიდან“ სტივ ფინანიც იყიდა.

**პაპუნა ძიძია**

# ჩემი კარგი შენ
## ბირმინგემი არ ჩაიძირება

„ბირმინგემ სიტი“ „ბლექბერნ როვერსს“ დევიდ დანის თაობაზე სეზონის დასრულებისთანავე შეევაჭრა. ვაჭრობამ თვეზე მეტხანს გასტანა და მხარეებმა საქმე საბოლოოდ მოაკვარახჭინეს.

23 წლის ნახევარმცველი თავის დროზე 21-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო, შარშან სექტემბერში კი სვენ გორან ერიკსონმა ეროვნულ გუნდშიც მიიწვია და პორტუგალიელებთან ამხანაგურ მატჩში ათამაშა.

დევიდ დანი „ბირმინგემს“ შეუერთდა და მწვრთნელიც აქო: „ვფიქრობ, სტივ ბრიუსი ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა სპეციალისტია ინგლისში და არც ჩემი ახალი კლუბი უნდა იყოს ჯაბანი“.

„ბირმინგემ სიტის“ თავმჯდომარე დევიდ გოლდიც კმაყოფილია: „დანი ჩვენთვის ფანტასტიკური შენაძენია. მეტიუ აპსონთან და კრისტოფ დიუგარისთან ერთად იგი გუნდს საკმაოდ გააძლიერებს და პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა შედარებით გაგვიადვილდება“.

ეს ამბავი „ბლექბერნის“ ფორვარდს, ენდი კოულს არ მოეწონა: „სეზონის დაწყების წინ კონკურენტების ფეხბურთელებით მომარაგება ჩვენი მხრიდან მთლად სწორი ნაბიჯი არ უნდა იყოს“ — თქვა კოულმა.

მოხელთებული ფულით „ბლექბერნის“ აღმასრულებელი დირექტორი ჯონ უილიამსი „ფეიენოორდის“ ავსტრალიელი ნახევარმცველის ბრეტ ემერტონის გადაბირებას აპირებს: „მე და გრემ სუნესი როტერდამელებს უკვე ვესაუბრეთ ემერტონის შესახებ“ — აღნიშნა დირექტორმა. 24 წლის ავსტრალიელს ნაკრებში 28-ჯერ უთამაშია და ექვსი გოლიც გაუტანია. მათ შორის ერთი წინა თებერვალში ინგლისელებთან ამხანაგურ მატჩში შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**




დევიდ დანი

# რა არის მთავარი ავტობიოგრაფიაში სიმართლე? არა!



როი კინი

აშკარად ჯობდა, როი კინს მხოლოდ ფეხბურთი ეთამაშა და კალმისთვის არ მოეკიდებინა ხელი. მიხვდებოდით, ლაპარაკი კვლავაც ირლანდიელის სკანდალურ ავტობიოგრაფიაზე, უფრო სწორედ კი იმ თავზე გვაქვს, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი ალალად აღწერს, შეგნებულად როგორ დაამტვრია თავის დროზე ალფ ინგე ჰოლანდი.

გეხსომებათ, კინის წიგნი შარშან გამოვიდა და იმ თავში აღწერილი ამბის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 250 ათასი გირვანქით და 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

თითქოს სკანდალი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არა — ფეხბურთის ასოციაციამ კინს ახალი მოთხოვნა წაუყენა — „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი როგორ დაამტვრიე, ახლებურად უნდა აღწეროო. ანუ კინმა ავტობიოგრაფიის ახალ ვარიანტში უნდა დაწეროს, ვინანიებ, ეგრე რომ გამომივიდაო.

კინის ავტობიოგრაფიის თანაავტორმა, ჟურნალისტმა იმონ დანკიმ თქვა, რაკი წიგნის ხელახლა დაწერას გვაიძულებენ, ბარემ იმასაც ჩავამატებთ, როგორ გახდა წელს „მანჩესტერი“ ინგლისის ჩემპიონიო.

**ირაკლი ნინიძე**

# ვირტუალური თაღლითები

დავუშვათ, თქვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი გულზე არ გეხატებათ. არადა, მხოლოდ გულშემატკივარი ბრძანდებით და რაიმეს შეცვლა არ შეგიძლიათ. მაგალითად, დაწუნებული მწვრთნელის მოხსნა და მის ნაცვლად ლუის სესარ მენოტის დანიშვნა.

ან კიდევ ასეთი ვარიანტი: მადრიდის „რეალის“ თავკაცად კარლოს კეიროშის გამწესებამ იმიტომ აგაღელვათ, რომ „რეალის“ ქომაგი ხართ და „სამეფო“ კლუბის იდეალურ მწვრთნელად სვენ გორან ერიქსონი მიგაჩნიათ.

გთავაზობთ ამ პრობლემის, ანუ მწვრთნელთა შეცვლის ხერხს, რომელიც კოლუმბიელმა ჰაკერებმა გამოიყენეს.

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის ჰალსტუხიანებმა საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე თვალებდაჭყეტილებმა ეს წაიკითხეს: „კონფედერაციის თასზე ნაკრების წარუმატებელი თამაშის გამო ფრანსისკო მატურანა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლებულია და მისი ადგილი კარლოს ვალდერამამ დაიკავა“.

ჩინოვნიკებმა ერთმანეთს გადახედეს, გაიკითხეს, მაგრამ ვერ გაარკვიეს, ვინ და როდის შეცვალა ეროვნული გუნდის თავკაცი. აღმოჩნდა, რომ ეს ჰაკერების ხუმრობა იყო, რომლებმაც ფრანსისკო მატურანა ვირტუალურად მოიშორეს. ფედერაციის წარმომადგენელმა თქვა, მატურანა თავის საქმეს გააგრძელებს, არავითარი კარლოს ვალდერამაო.

**ვაჟა ხუციშვილი**





კარლოს ვალდერამა და ფრანსისკო მატურანა ჰაკერებმა ერთმანეთს დაატყვეს

# უფრთხილდით ფერგიუსონს
## მით უფრო, მძარცველი თუ ხართ

37 წლის კარლ ბიშოპს ლივერპულელმა მოსამართლემ 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბიშოპის დანაშაული ის გახლდათ, რომ ამა წლის 8 იანვარს დანკან ფერგიუსონის გაძარცვა სცადა, ხოლო რადგან ფერგიუსონი ფეხბურთელია და თანაც საკმაოდ ცნობილიც, ეს ამბავი ჩვენი თვალთახედვის არეში მოხვდა.

თავდაპირველად გავიხსენოთ, რომ ფერგიუსონი „ევერტონში“ თამაშობს და ლივერპულის გარეუბანში, ფორმბიში ცხოვრობს, სადაც ორი სახლი აქვს, ეს სახლები ერთ ნაკვეთზეა აშენებული, ერთში თავად ფეხბურთელი ცხოვრობს ოჯახთან ერთად, ხოლო მეორე სახლში სპორტდარბაზი აქვს მოწყობილი და საწყობადაც იყენებს.

იმ საღამოს „საქმეზე“ წასვლის წინ კარლ ბიშოპმა კოკაინის გვარიანი დოზა იყნოსა და მეტი გამბედაობისთვის სისხლი ჰეროინითაც გაიჟღენთა.

ბიშოპი იმ სახლში შეძვრა, რომელსაც ფერგიუსონი საწყობად იყენებდა და აბგა ნადავლითაც დატვირთა — შამპანურის, ვისკის და არყის ძვირფასი ბოთლებით. სახლიდან გამოძრომისას კი თავზე ოჯახის უფროსი დაადგა.

აქ ერთი წუთით შევჩერდეთ და ორი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ. მაშინ, 2001 წელს, დანკან ფერგიუსონის გაძარცვა პირველად სცადეს, ოღონდ მძარცველები ორნი იყვნენ. ფერგიუსონმა ერთ-ერთი მძარცველი ისე სცემა, კარგა ხანს საკუთარ თავს ვერ სცნობდა. ორს როგორ მოერია? მძარცველები მაშინაც ნარკოტიკებით იყვნენ გაბრუებულები.

მოკლედ, დანკან ფერგიუსონისთვის დაუპატიჟებელ სტუმრებთან გამკლავება უცხო ხილიარ არის. ამჯერად ბიშოპმა მას ბოთლი მოუქნია, მაგრამ ფერგიუსონი გაუსხლტა და მძარცველს ყბაში ისე ამოსცხო, ლენოქს ლუისს შეშურდებოდა. შედეგად, უილბლო მძარცველს ორი დღე ექიმები დასტრიალებდნენ, ყბა გაუმრთელეს და პოლიციას გადააბარეს. პოლიციამ თავის მხრივ სასამართლოს გადააბარა და პატივცემულმა მოსამართლემ ოთხი წლით ბადრაგს მიაბარა.



მტერს მოხვდა დანკან ფერგიუსონის მუშტი

**კოტე ძიძელია**

# ევროსტატი 2002-2003

*ათი დღის წინ ევროპაში სეზონი დასრულდა. ბოლო მატჩი ესპანეთის თასის ფინალი გახლდათ. ცხადია, სეზონის დასრულება იმ ქვეყნებს შეეხებათ, შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით რომ თამაშობენ, თორემ 14 ქვეყანაში ახლა გაგანია სეზონია, იქ, სადაც თამაშს გაზაფხულზე იწყებენ და ზამთრის პირზე ამთავრებენ.*

*შევნიშნოთ, რომ რაც ყაზახეთიც ევროპა გახდა, „ბებერ კონტინენტზე" 52 ქვეყანაა, მათგან 51-ში ჩემპიონატი ტარდება. გამონაკლისი ლიხტენშტაინია, სადაც მხოლოდ ქვეყნის თასისთვის იბრძვიან.*

*„სარბიელი" ყოველწლიურად, სეზონის გასრულების შემდეგ, შემაჯამებელ სტატისტიკურ მონაცემებს გთავაზობდათ და წელსაც იგივეს ვაკეთებთ, ოღონდ ცხრილების გარდა ბომბარდირთა და უმაღლეს ლიგაში აღზევებულთა ვინაობასაც და თასის ფინალის შედეგებსაც ვამატებთ.*

*ჩემპიონატების შემაჯამებელ შედეგებს ანბანური თანმიმდევრობით დღეს, ხვალ და ზეგ წარმოგიდგენთ.*

## ავსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 36 | 21 | 7 | 8 | 59:28 | 70 |
| გრაცერი | 36 | 15 | 12 | 9 | 56:39 | 57 |
| ზალცბურგი | 36 | 15 | 11 | 10 | 51:46 | 56 |
| რაპიდი | 36 | 13 | 12 | 11 | 40:38 | 51 |
| პაშინგი | 36 | 13 | 10 | 13 | 41:37 | 49 |
| შტურმი | 36 | 14 | 5 | 17 | 50:62 | 47 |
| ადმირა | 36 | 11 | 11 | 14 | 36:46 | 44 |
| კერნტენი | 36 | 11 | 8 | 17 | 45:57 | 41 |
| ბრეგენცი | 36 | 9 | 12 | 15 | 48:58 | 39 |
| რიდი | 36 | 10 | 8 | 18 | 41:56 | 38 |

ბომბარდირი: ლავარე (21 გოლი, ბრეგენცი)
გავარდა: „რიდი"
აღზევდა: „მატერსბურგი"
თასის ფინალი: აუსტრია 3:0 კერნტენი

## აზერბაიჯანი

2002-2003 წლების ქვეყნის ჩემპიონატი შეწყდა.
ახალი სეზონი 2003 წლის 17 მაისს დაიწყო

## ალბანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტირანა | 26 | 19 | 3 | 4 | 57:18 | 60 |
| ვლაზნია | 26 | 15 | 4 | 7 | 51:32 | 49 |
| პარტიზანი | 26 | 12 | 10 | 4 | 41:27 | 46 |
| ტეუტა | 26 | 12 | 4 | 10 | 38:27 | 40 |
| შკუმბინი | 26 | 11 | 7 | 8 | 33:23 | 40 |
| დინამო | 26 | 10 | 8 | 8 | 29:24 | 38 |
| ფლამურტარი | 26 | 10 | 6 | 10 | 27:28 | 36 |
| ელბასანი | 26 | 10 | 6 | 10 | 33:35 | 36 |
| ბესა | 26 | 9 | 9 | 8 | 29:37 | 36 |
| ლუშნია | 26 | 9 | 8 | 9 | 27:27 | 35 |
| აპოლონია | 26 | 10 | 5 | 11 | 27:33 | 35 |
| ერჯენი | 26 | 6 | 6 | 14 | 23:37 | 24 |
| ბილიში | 26 | 3 | 7 | 16 | 19:61 | 16 |
| ბესელიჯა | 26 | 4 | 1 | 21 | 22:47 | 13 |

ბომბარდირი: ჰალილი (20, ტირანა)
გავარდნენ: „ბესელიჯა", „ბილიში", „ერჯენი" და „აპოლონია"
აღზევდნენ: არავინ, ახალი სეზონიდან I დივიზიონში 10 გუნდი ითამაშებს
თასის ფინალი: დინამო 1:0 ტეუტა

## ანდორა

### პლეი ოფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტა კოლომა | 22 | 14 | 7 | 1 | 58:14 | 49 |
| ენკამპი | 22 | 14 | 6 | 2 | 63:16 | 48 |
| სენტ ჯულია | 22 | 11 | 5 | 6 | 73:28 | 38 |
| ინტერი | 22 | 9 | 2 | 11 | 37:54 | 29 |

### პლეი აუტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუსიტანსი | 22 | 12 | 1 | 9 | 63:40 | 37 |
| პრინჩიპატი | 22 | 10 | 5 | 7 | 42:32 | 35 |
| რეინჯერსი | 22 | 9 | 3 | 10 | 54:51 | 30 |
| სერნი | 22 | 2 | 1 | 19 | 21:85 | 7 |

ბომბარდირები: ბარდინა (18, ინტერი), რომერო (18, ენკამპი)
გავარდა: „სერნი"
აღზევდა: „ენგორდანი"
თასის ფინალი: სანტა კოლომა 5:3 სენტ ჯულია

## ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 26 | 18 | 2 | 6 | 51:20 | 56 |
| ნემანი | 26 | 17 | 5 | 4 | 47:20 | 56 |
| შახტიორი | 26 | 15 | 6 | 5 | 41:23 | 51 |
| ტორპედო-მაზი | 26 | 15 | 6 | 5 | 30:16 | 51 |
| ტორპედო | 26 | 13 | 4 | 9 | 38:27 | 43 |
| გომელი | 26 | 13 | 4 | 9 | 46:33 | 43 |
| დინამო (მინსკი) | 26 | 12 | 6 | 8 | 44:28 | 42 |
| ბელშინა | 26 | 12 | 4 | 10 | 44:38 | 37 |
| დნეპრტრანსმაში | 26 | 10 | 6 | 10 | 38:37 | 36 |
| დინამო (ბრესტი) | 26 | 8 | 8 | 10 | 25:26 | 32 |
| სლავია | 26 | 6 | 6 | 14 | 38:61 | 24 |
| ზვეზდა | 26 | 4 | 6 | 16 | 28:48 | 18 |
| მოლოდეჩნო | 26 | 3 | 3 | 20 | 23:59 | 12 |
| ლოკომოტივი-96 | 26 | 3 | 0 | 23 | 20:77 | 9 |

ბომბარდირი: სტრიპეიკისი (18, ბელშინა)
გავარდა: „ლოკომოტივი-96"
აღზევდნენ: „ლოკომოტივი" (მინსკი), „დარიდა", „ნაფტან-დევონი"
თასის ფინალი
დინამო (მინსკი) 2:0 ლოკომოტივი (მინსკი)

## ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 32 | 25 | 4 | 3 | 96:33 | 79 |
| ანდერლეხტი | 32 | 23 | 2 | 7 | 72:31 | 71 |
| ლოკერენი | 32 | 18 | 6 | 8 | 69:51 | 60 |
| სენტ ტრუიდენი | 32 | 16 | 8 | 8 | 63:44 | 56 |
| ლიერსი | 32 | 16 | 8 | 8 | 51:41 | 56 |
| გენკი | 32 | 16 | 7 | 9 | 73:52 | 55 |
| სტანდარდი | 32 | 14 | 8 | 10 | 53:39 | 50 |
| გენტი | 32 | 15 | 2 | 15 | 49:55 | 47 |
| მონსი | 32 | 13 | 4 | 15 | 45:45 | 43 |
| ვესტერლო | 32 | 12 | 4 | 16 | 39:46 | 40 |
| ბევერენი | 32 | 12 | 2 | 18 | 50:69 | 38 |
| ანტვერპენი | 32 | 9 | 7 | 16 | 44:55 | 34 |
| მუსკრონი | 32 | 9 | 5 | 18 | 42:72 | 32 |
| ბეერსხოტი | 32 | 8 | 7 | 17 | 49:57 | 31 |
| ლუვიე | 32 | 7 | 9 | 16 | 34:44 | 30 |
| შარლერუა | 32 | 6 | 9 | 17 | 39:66 | 27 |
| მეხელენი | 32 | 4 | 6 | 22 | 18:86 | 18 |

ბომბარდირი: სონკი (24, გენკი)
გავარდნენ: „მეხელენი", „ლომელი" (მოხსნილი იყო გათამაშებიდან)
აღზევდნენ: „სერკლ ბრიუგე", „ჰეუსდენი"
თასის ფინალი: ლუვიე 3:1 სენტ ტრუიდენი

## ბოსნია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეოტარი | 38 | 26 | 7 | 5 | 81:27 | 85 |
| ჟელეზნიჩარი | 38 | 24 | 10 | 4 | 66:24 | 82 |
| სარაევო | 38 | 19 | 12 | 7 | 83:39 | 69 |
| შიროკი ბრიაგი | 38 | 21 | 5 | 12 | 69:45 | 68 |
| ჩელიკი | 38 | 16 | 10 | 12 | 61:33 | 58 |
| სლობოდა | 38 | 16 | 6 | 16 | 51:38 | 54 |
| ბორაცი | 38 | 16 | 6 | 16 | 50:48 | 54 |
| ორაშე | 38 | 15 | 9 | 14 | 50:57 | 54 |
| პოსუშე | 38 | 16 | 6 | 16 | 42:55 | 54 |
| ჟეპჩე | 38 | 14 | 11 | 13 | 48:50 | 53 |
| ზრინსკი | 38 | 17 | 2 | 19 | 45:65 | 53 |
| რუდარი | 38 | 16 | 4 | 18 | 61:56 | 52 |
| ბროტნიო | 38 | 15 | 7 | 16 | 47:55 | 52 |
| გლასინაცი | 38 | 16 | 4 | 18 | 37:54 | 52 |
| კოზარა | 38 | 15 | 6 | 17 | 55:62 | 51 |
| იედინსტვო | 38 | 15 | 5 | 18 | 59:62 | 50 |
| ველეჟი | 38 | 14 | 3 | 21 | 47:59 | 45 |
| მლადოსტი | 38 | 11 | 6 | 21 | 40:65 | 39 |
| ბუდუჩნოსტი | 38 | 10 | 8 | 20 | 48:67 | 38 |
| ბოსნა | 38 | 4 | 1 | 33 | 28:107 | 13 |

ბომბარდირი: ობუჩა (23, სარაევო)
გავარდნენ: „ბოსნა", „ბუდუჩნოსტი", „მლადოსტი", „ველეჟი", „ედინსტვო", „კოზარა"
აღზევდნენ: „ტრავნიკი", „მოდრიცა"
თასის ფინალი:
ჟელეზნიჩარი 2:0 ლეოტარი (0:0)

## ბულგარეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 26 | 21 | 3 | 2 | 67:16 | 66 |
| ლევსკი | 26 | 19 | 3 | 4 | 61:19 | 60 |
| ლიტექსი | 26 | 17 | 4 | 5 | 49:22 | 55 |
| სლავია | 26 | 16 | 3 | 7 | 57:30 | 51 |
| ჩერნო მორე | 26 | 14 | 6 | 6 | 42:21 | 48 |
| ლოკ. პლოვდივი | 26 | 16 | 2 | 8 | 56:33 | 47 |
| სპარტაკი | 26 | 10 | 4 | 12 | 25:34 | 34 |
| ნეფტოხიმიკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31:36 | 33 |
| მარეკი | 26 | 8 | 6 | 12 | 35:42 | 30 |
| ლოკ. სოფია | 26 | 7 | 4 | 15 | 23:37 | 25 |
| ჩერნომორეცი | 26 | 7 | 3 | 16 | 32:56 | 24 |
| ბოტევი | 26 | 6 | 3 | 17 | 26:61 | 21 |
| დობრუჯა | 26 | 4 | 2 | 20 | 19:73 | 14 |
| რილსკი სპორტისტი | 26 | 1 | 6 | 19 | 20:63 | 9 |

ბომბარდირი: ჩილიკოვი (22, ლევსკი)
გავარდნენ: „დობრუჯა", „რილსკი სპორტისტი"
აღზევდნენ: „როდოპა", „მაკედონსკა სლავა", „ვიდიმა-რაკოვსკი", „ბელასიცა"
თასის ფინალი: ლევსკი 2:1 ლიტექსი

## გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 34 | 23 | 6 | 5 | 70:25 | 75 |
| შტუტგარტი | 34 | 17 | 8 | 9 | 53:39 | 59 |
| დორტმუნდი | 34 | 15 | 13 | 6 | 51:27 | 58 |
| ჰამბურგი | 34 | 15 | 11 | 8 | 46:36 | 56 |
| ჰერტა | 34 | 16 | 6 | 12 | 52:43 | 54 |
| ვერდერი | 34 | 16 | 4 | 14 | 51:50 | 52 |
| შალკე | 34 | 12 | 13 | 9 | 46:40 | 49 |
| ვოლფსბურგი | 34 | 13 | 7 | 14 | 39:42 | 46 |
| ბოხუმი | 34 | 12 | 9 | 13 | 55:56 | 45 |
| მიუნხენი | 34 | 12 | 9 | 13 | 44:52 | 45 |
| ჰანოვერი | 34 | 12 | 7 | 15 | 47:57 | 43 |
| გლადბახი | 34 | 11 | 9 | 14 | 43:45 | 42 |
| ჰანზა | 34 | 11 | 8 | 15 | 35:41 | 41 |
| ლაუტერნი | 34 | 10 | 10 | 14 | 40:42 | 40 |
| ლევერკუზენი | 34 | 11 | 7 | 16 | 47:56 | 40 |
| არმინია | 34 | 8 | 12 | 14 | 35:46 | 36 |
| ნიურნბერგი | 34 | 8 | 6 | 20 | 33:60 | 30 |
| კოტბუსი | 34 | 7 | 9 | 18 | 34:64 | 30 |

ბომბარდირები: ელბერი (21, ბაიერნი), კრისტიანსენი (21, ბოხუმი)
გავარდნენ: „არმინია", „ნიურნბერგი", „კოტბუსი"
აღზევდნენ: „კიოლნი", „აინტრახტი", „ფრაიბურგი"
თასის ფინალი: ბაიერნი 3:1 ლაუტერნი

## დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 33 | 17 | 10 | 6 | 51:32 | 61 |
| ბრონდბიუ | 33 | 15 | 11 | 7 | 61:35 | 56 |
| ფარუმი | 33 | 16 | 3 | 14 | 49:58 | 51 |
| ოდენსე | 33 | 12 | 12 | 9 | 55:50 | 46 |
| ესბიერგი | 33 | 12 | 11 | 10 | 65:57 | 47 |
| ოლბორგი | 33 | 14 | 4 | 15 | 42:45 | 46 |
| მიდტიულანდი | 33 | 11 | 11 | 11 | 49:45 | 44 |
| ვიბორგი | 33 | 11 | 10 | 12 | 58:55 | 43 |
| აკადემისკი | 33 | 10 | 12 | 11 | 44:48 | 42 |
| ორჰუსი | 33 | 10 | 10 | 13 | 49:59 | 40 |
| სილკებორგი | 33 | 9 | 9 | 15 | 52:54 | 36 |
| კიოგე | 33 | 8 | 3 | 12 | 45:82 | 27 |

ბომბარდირი: ფრედერიკსენი (18, ვიბორგი)
გავარდნენ: „სილკებორგი", „კიოგე"
აღზევდნენ: „ჰერფიოლგე", „ფრამი"
თასის ფინალი:
ბრონდბიუ 3:0 მიდტიულანდი



ესპანეთში ყველაზე მეტი როი მაკაიმ გაიტანა

## ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 38 | 22 | 12 | 4 | 86:42 | 78 |
| სოსიედადი | 38 | 22 | 10 | 6 | 71:45 | 76 |
| დეპორტივო | 38 | 22 | 6 | 10 | 67:47 | 72 |
| სელტა | 38 | 17 | 10 | 11 | 45:36 | 61 |
| ვალენსია | 38 | 17 | 9 | 12 | 56:35 | 60 |
| ბარსელონა | 38 | 15 | 11 | 12 | 63:47 | 56 |
| ბილბაო | 38 | 15 | 10 | 13 | 63:61 | 55 |
| ბეტისი | 38 | 14 | 12 | 12 | 56:53 | 54 |
| მალიორკა | 38 | 14 | 10 | 14 | 49:56 | 52 |
| სევილია | 38 | 13 | 11 | 14 | 38:39 | 50 |
| ატლეტიკო | 38 | 12 | 11 | 15 | 51:56 | 47 |
| ოსასუნა | 38 | 12 | 11 | 15 | 40:48 | 47 |
| ვალიადოლიდი | 38 | 12 | 10 | 16 | 37:40 | 46 |
| მალაგა | 38 | 11 | 13 | 14 | 44:49 | 46 |
| ვილიარეალი | 38 | 11 | 12 | 15 | 44:53 | 45 |
| რასინგი | 38 | 13 | 5 | 20 | 54:64 | 44 |
| ესპანიოლი | 38 | 10 | 13 | 15 | 48:54 | 43 |
| უელვა | 38 | 8 | 12 | 18 | 35:61 | 36 |
| ალავესი | 38 | 8 | 11 | 19 | 38:68 | 35 |
| რაიო ვალეკანო | 38 | 7 | 11 | 20 | 31:62 | 32 |

ბომბარდირი: მაკაი (29, დეპორტივო);
გავარდნენ: „უელვა", „ალავესი", „რაიო ვალეკანო"
აღზევდნენ: „მურსია", „სარაგოსა", „ალბასეტე"
თასის ფინალი: უელვა 0:3 მალიორკა



ასე გაწუწავს ყველა ინატრებდა: „ბაიერნმა" გერმანული დუბლი, რა თქმა უნდა, ლუდით დაასველა

## ესტონეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორა | 28 | 20 | 4 | 4 | 79:25 | 64 |
| ლევადია (მ) | 28 | 18 | 8 | 2 | 70:25 | 62 |
| ტვმკ | 28 | 16 | 5 | 7 | 90:35 | 53 |
| ტრანსი | 28 | 14 | 5 | 9 | 54:49 | 47 |
| ტულევიკი | 28 | 10 | 6 | 12 | 51:52 | 36 |
| ლევადია (ტ) | 28 | 6 | 5 | 17 | 32:70 | 23 |
| ლოოტუსი | 28 | 5 | 6 | 17 | 24:67 | 21 |
| ლევადია (პ) | 28 | 1 | 5 | 22 | 19:96 | 8 |

ბომბარდირი: კრილოვი (37, ტვმკ)
გავარდნენ: „ლოოტუსი", „ლევადია" (პ)
აღზევდნენ: „ვალგა", „კურესაარე"
თასის ფინალი:
ტვმკ 2:2(პენ.4:1) ფლორა

## თურქეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 34 | 26 | 7 | 1 | 63:21 | 85 |
| გალათასარაი | 34 | 24 | 5 | 5 | 61:27 | 77 |
| გენჩლერი | 34 | 19 | 9 | 6 | 75:39 | 66 |
| გაზიანთეფი | 34 | 16 | 9 | 9 | 61:41 | 57 |
| მალათია | 34 | 14 | 10 | 10 | 56:45 | 52 |
| ფენერბაჰჩე | 34 | 13 | 12 | 9 | 55:42 | 54 |
| ტრაბზონი | 34 | 13 | 12 | 9 | 44:33 | 51 |
| ანკარაგიუჯიუ | 34 | 15 | 4 | 15 | 44:42 | 49 |
| ისთანბული | 34 | 10 | 10 | 14 | 37:42 | 40 |
| ადანა | 34 | 10 | 10 | 14 | 44:54 | 40 |
| სამსუნი | 34 | 10 | 9 | 15 | 42:59 | 39 |
| ელაზიგი | 34 | 10 | 7 | 17 | 40:59 | 37 |
| დიარბაქირი | 34 | 9 | 9 | 16 | 34:47 | 36 |
| ბურსა | 34 | 9 | 9 | 16 | 42:62 | 36 |
| ალთაი | 34 | 9 | 8 | 17 | 48:69 | 35 |
| გიოზთეფე | 34 | 5 | 11 | 18 | 32:57 | 26 |
| ქოჯაელი | 34 | 6 | 4 | 24 | 32:66 | 22 |

ბომბარდირი: ოკან ილმაზი (24, ბურსა)
გავარდნენ: „ალთაი", „გიოზთეფე", „ქოჯაელი"
აღზევდნენ: „ქონიასფორი", „რიზესფორი", „სებასფორი"
თასის ფინალი: ტრაბზონი 3:1 გენჩლერი

## ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 38 | 25 | 8 | 5 | 74:34 | 83 |
| არსენალი | 38 | 23 | 9 | 6 | 85:42 | 78 |
| ნიუკასლი | 38 | 21 | 6 | 11 | 63:48 | 69 |
| ჩელსი | 38 | 19 | 10 | 9 | 68:38 | 67 |
| ლივერპული | 38 | 18 | 10 | 10 | 61:41 | 64 |
| ბლექბერნი | 38 | 16 | 12 | 10 | 52:43 | 60 |
| ევერტონი | 38 | 17 | 8 | 13 | 48:49 | 59 |
| საუთჰემპტონი | 38 | 13 | 13 | 12 | 43:46 | 52 |
| სიტი | 38 | 15 | 6 | 17 | 47:54 | 51 |
| ტოტენჰემი | 38 | 14 | 8 | 16 | 51:62 | 50 |
| მიდლსბრო | 38 | 13 | 10 | 15 | 48:44 | 49 |
| ჩარლტონი | 38 | 14 | 7 | 17 | 45:56 | 49 |
| ბირმინგემი | 38 | 13 | 9 | 16 | 41:49 | 48 |
| ფულემი | 38 | 13 | 9 | 16 | 41:50 | 48 |
| ლიდსი | 38 | 14 | 5 | 19 | 58:57 | 47 |
| ასტონ ვილა | 38 | 12 | 9 | 17 | 42:47 | 45 |
| ბოლტონი | 38 | 10 | 14 | 14 | 41:51 | 44 |
| ვესტ ჰემი | 38 | 10 | 12 | 16 | 42:59 | 42 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 6 | 8 | 24 | 29:65 | 26 |
| სანდერლენდი | 38 | 4 | 7 | 27 | 21:65 | 19 |

ბომბარდირი: ვან ნისტელროი (25, მანჩესტერი)
გავარდნენ: „ვესტ ჰემი", „ვესტ ბრომვიჩი", „სანდერლენდი";
აღზევდნენ: „პორტსმუთი", „ლესტერი", „ვულვერჰემპტონი"
თასის ფინალი: არსენალი 1:0 საუთჰემპტონი

## ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოჰემიანსი | 27 | 15 | 9 | 3 | 47:27 | 54 |
| შელბურნი | 27 | 15 | 4 | 8 | 44:26 | 49 |
| შემროკ როვერსი | 27 | 12 | 7 | 8 | 42:29 | 43 |
| კორკ სიტი | 27 | 11 | 6 | 10 | 37:34 | 39 |
| ლონგფორდი | 27 | 8 | 11 | 8 | 25:29 | 35 |
| იუნივერსიტი | 27 | 8 | 9 | 10 | 23:25 | 33 |
| სენტ პატრიკსი | 27 | 8 | 9 | 10 | 27:33 | 33 |
| დერი სიტი | 27 | 8 | 7 | 12 | 31:37 | 31 |
| დროზდა | 27 | 8 | 6 | 13 | 26:40 | 30 |
| ბრეი | 27 | 4 | 8 | 15 | 31:53 | 20 |

ბომბარდირი: ქროუ (18, ბოჰემიანსი)
გავარდა: „ბრეი"
აღზევდა: „უოტერფორდი"
თასის ფინალი:
დერი სიტი 1:0 შემროკ როვერსი

## ისლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეიკიავიკი | 18 | 10 | 6 | 2 | 32:18 | 36 |
| ფილკირი | 18 | 10 | 4 | 4 | 30:22 | 34 |
| გრინდავიკი | 18 | 8 | 5 | 5 | 32:26 | 29 |
| აკურეირი | 18 | 6 | 7 | 5 | 18:19 | 25 |
| აკრანესი | 18 | 6 | 5 | 7 | 29:26 | 23 |
| ჰაფნარფიორდური | 18 | 5 | 7 | 6 | 29:30 | 22 |
| ვესტმანაეიარი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:22 | 20 |
| ფრამი | 18 | 5 | 5 | 8 | 29:33 | 20 |
| კეფლავიკი | 18 | 4 | 8 | 6 | 25:30 | 20 |
| ტოური | 18 | 3 | 4 | 11 | 22:43 | 13 |

ბომბარდირი: ბიარტარსონი (13, გრინდავიკი)
გავარდნენ: „კეფლავიკი", „ტოური"
აღზევდნენ: „ვალიური", „ტრაუტ-ტური"
თასის ფინალი: ფილკირი 3:1 ფრამი

## ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. თელ ავივი | 33 | 22 | 3 | 8 | 66:31 | 69 |
| მ. ჰაიფა | 33 | 21 | 6 | 6 | 75:42 | 69 |
| ჰ. თელ ავივი | 33 | 19 | 10 | 4 | 53:22 | 67 |
| მ. ნათანია | 33 | 15 | 9 | 9 | 47:36 | 54 |
| ჰ. ბეერ შევა | 33 | 15 | 6 | 12 | 56:41 | 51 |
| მ. ფეთაჰ თიკვა | 33 | 13 | 11 | 9 | 45:37 | 50 |
| აშდოდი | 33 | 11 | 7 | 15 | 35:49 | 40 |
| ჰ. ფეთაჰ თიკვა | 33 | 11 | 6 | 16 | 41:33 | 39 |
| ბეითარი | 33 | 10 | 6 | 17 | 46:59 | 36 |
| ბნეი იეჰუდა | 33 | 9 | 7 | 17 | 39:63 | 34 |
| ჰ. ქვარ საბა | 33 | 7 | 5 | 21 | 43:81 | 23 |
| ირონი | 33 | 4 | 6 | 23 | 35:67 | 38 |

ბომბარდირები: აბარჯილი (18, ჰ. ქვარ საბა), პოლცმანი (18, ირონი)
გავარდნენ: „ჰ. ქვარ საბა", „ირონი"
აღზევდნენ: „მ. ნაზარეთი", „ჰ. ბნეი სახნინი"
თასის ფინალი:
ჰ. რამათ-განი 1:1(პენ.5:4) ჰ. ბეერ შევა

## იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 34 | 21 | 9 | 4 | 64:29 | 72 |
| ინტერი | 34 | 19 | 8 | 7 | 64:38 | 65 |
| მილანი | 34 | 18 | 7 | 9 | 55:30 | 61 |
| ლაციო | 34 | 15 | 15 | 4 | 57:32 | 60 |
| პარმა | 34 | 15 | 11 | 8 | 55:36 | 56 |
| უდინეზე | 34 | 16 | 8 | 10 | 38:35 | 56 |
| კიევო | 34 | 16 | 7 | 11 | 51:39 | 55 |
| რომა | 34 | 13 | 10 | 11 | 55:46 | 49 |
| ბრეშა | 34 | 9 | 15 | 10 | 36:38 | 42 |
| პერუჯა | 34 | 10 | 12 | 12 | 40:48 | 42 |
| ბოლონია | 34 | 10 | 11 | 13 | 39:47 | 41 |
| ემპოლი | 34 | 9 | 11 | 14 | 36:46 | 38 |
| მოდენა | 34 | 9 | 11 | 11 | 30:48 | 38 |
| ატალანტა | 34 | 8 | 14 | 12 | 35:47 | 38 |
| რეჯინა | 34 | 10 | 8 | 16 | 38:53 | 38 |
| პიაჩენცა | 34 | 8 | 6 | 20 | 44:62 | 30 |
| კომო | 34 | 4 | 12 | 18 | 29:57 | 24 |
| ტორინო | 34 | 4 | 9 | 21 | 23:58 | 21 |

### პლეი აუტი

რეჯინა 0:0 ატალანტა (2:1)
ბომბარდირი: ვიერი (24, ინტერი);
გავარდნენ: „ტორინო", „კომო", „პიაჩენცა", „ატალანტა";
აღზევდნენ: „სიენა", „სამპდორია", „ლეჩე", „ანკონა"
თასის ფინალი: მილანი 2:2 რომა (4:1)

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 001 | ცსკა-ზენიტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 16.00 | 002 | ლოკომოტივი-რუბინი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 003 | მეტალურგი-ურალანი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 16.00 | 004 | ალანია-შინიკი | 2,6 | 2,6 | 2,6 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 16.00 | 005 | კრილია-ტორპედო | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 16.00 | 006 | ჩერნომორეცი-სპარტაკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 16.00 | 007 | როსტოვი-როტორი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 008 | სატურნი-დინამო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **შვედეთი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 010 | იურგორდენი-იორგრიტე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი. XII ტური** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 015 | კუოპიო-ალიანსი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,65 | 1,26 | 1,26 |
| 20.30 | 016 | ტამპერე-იოკერიტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 017 | ჰიკ-ტურკუ | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 018 | ჰაამეენლინა-ჯაზი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 20.30 | 019 | ინტერი-მიუპა | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 20.30 | 020 | კტპ-იარო | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 021 | ლაჰტი-ჰაკა | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ავსტრია** | | | | | | |
| | | **სუპერთასი** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 19.20 | 022 | ავსტრია-კერნტენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

interwetten .com

## ინტერვეტენი (ავსტრია)

**ოთხთა ტურნირი**

**10 ივლისი**

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი) - 1,65 ------ 3,4 ------- 3,6

**შვედეთი. თასი**

**9 ივლისი**

იორებრო — ასირისკა ---------------------------------------- 1,25 ----- 4,5 ------- 7,0

**შვედეთი. XIII ტური**

**9 ივლისი**

იურგორდენი — იორგრიტე ---------------------------------- 1,55 ------3,3 ------ 4,5

**ფინეთი. XII ტური**

**10 ივლისი**

კუოპიო — ალიანსი ---------------------------------------- 3,4 ------ 3,1 ------- 1,8

ტამპერე — იოკერიტი ---------------------------------------1,7 ------ 3,1 ------ 3,8

sportsbook infoworld p2p

## გეიმბუკერსი (ინგლისი -ავსტრია)

**შვედეთი. XIII ტური**

**9 ივლისი**

იურგორდენი — იორგრიტე ---------------------------------- 1,6 ------- 3,6 ------- 5,0

William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

**შვედეთი. XIII ტური**

**9 ივლისი**

იურგორდენი — იორგრიტე ---------------------------------- 1,5 ----- 3,55 ----- 5,25

WETTBÜRO Jeder kann gewinnen SCHWECHAT

## ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

**ფინეთი. XII ტური**

**10 ივლისი**

კუოპიო — ალიანსი ---------------------------------------- 3,0 ------3,3 ------- 1,9

ტამპერე — იოკერიტი -------------------------------------- 1,55 ------3,6 ------ 4,2

**ამხანაგური მატჩები**

**9 ივლისი**

აუსტრია (ავსტრია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი)---- 1,65 ------ 3,4 ------ 3,8

სოშო (საფრანგეთი) — სერვეტი (შვეიცარია) ------------1,5 ------ 3,4 ------ 4,8

**10 ივლისი**

დუისბურგი (გერმანია) — ლევერკუზენი (გერმანია) ---- 3,7 ------3,3 -------1,7

სლავია (ჩეხეთი) — ჰანოვერი (გერმანია) ---------------2,0 ------3,3 ------ 2,8

ვატენშაიდი (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) ---- 5,5 ------3,8 -------1,4

**შვედეთი. XIII ტური**

**9 ივლისი**

იურგორდენი — იორგრიტე ---------------------------------1,5 ------3,6 ------ 4,5

**შვედეთი. თასი**

**9 ივლისი**

იორებრო — ასირისკა --------------------------------------- 1,25 ----- 4,2 ------ 7,5

**ბრაზილია. XVII ტური**

**9 ივლისი**

კორინთიანსი — სანტოსი --------------------------------- 2,2 ----- 3,2 ------2,5

ბაია — გუარანი ---------------------------------------------1,7 ----- 3,2 ------ 3,8

კრუზეირო — ფორტალეზა -------------------------------- 1,2 ----- 5,0 ------ 7,5

ფლამენგო — ჟუვენტუდე ---------------------------------- 1,65 ------3,3 ------ 3,9

გოიასი — ვიტორია -----------------------------------------1,9 ------3,3 ------ 3,0

პარანა — გრემიო------------------------------------------- 1,65 ------3,3 ------ 3,9

პაისანდუ — ფიგეირენსე ----------------------------------2,0 ------3,3 ------2,8

სან კაეტანო — ატლ. პარანენსე ------------------------- 1,55 ------3,6 ------4,2

ინტერნასიონალი — ვასკუ და გამა ----------------------1,8 ----- 3,2 ------ 3,4

კურიტიბა — სან პაულუ -----------------------------------2,0 ------3,3 ------2,8

**10 ივლისი**

კრისიუმა — ატლ. მინეირო -------------------------------1,9 ----- 3,2 -------3,1

პონტე პრეტა — ფლუმინენსე -----------------------------1,9 ----- 3,2 -------3,1

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |



ზაზა ფაჩულია ლებრონ ჯეიმსზე დიდ იმედებს ამყარებს

*დღეს, გამთენიისას „ორლანდო მეჯიქის“ მთავარსარბიელ „უოტერჰაუსში“ საზაფხულო კემპის გახსნითი მატჩი დასრულდა „ორლანდოსა“ და იმ „კლივლენდს“ შორის, რომლის ახალბედა ლებრონ ჯეიმსის გამო ეს თამაში ტელევიზიით მთელმა ამერიკამ ნახა. იმ არენაზე, სადაც „ორლანდო“ საშინაო მატჩებს მართავს და იშვიათად თუ ივსება პირთამდე, ნუხანდელი შეხვედრის ყველა ბილეთი გაყიდული იყო, ხოლო ამხელა აუდიტორიის წინაშე ჩვენებური ზაზა ფაჩულია ორლანდოელთა სასტარტო ხუთეულში დაიწყებდა თამაშს. დრაფტზე 42-ე ნომრად არჩეული, თუმც პირველრაუნდელის დარი ამბიციების მქონე ფაჩულია ამერიკელთათვის საკუთარი ძალის დასამტკიცებლად უკეთეს შანსს ვერც ინატრებდა. ფაჩულიას მატჩამდე დავუკავშირდით და ეს ინტერვიუ ჩამოვართვით*

# გინდა კონტრაქტი? ერთხელ დაუფარე ლებრონ ჯეიმსს

**— რა განწყობით ხვდები „კლივლენდთან“ მატჩს?**

— ძალიან კარგ ხასიათზე ვარ. მინდა, რაც შეიძლება მალე დაიწყოს თამაში. ეგაა, ცოტა გადავიღალე ორჯერადი ვარჯიშებით. თითქმის ერთი წელია, არ დამისვენია.

**— გუნდში რამდენი მოთამაშე ხართ?**

— ცხრამეტი, რომელთაგანაც მხოლოდ ორს, დრიუ გუდენსა და სტივ ჰანტერს აკავშირებს „ორლანდოსთან“ კონტრაქტი. დანარჩენები ჩემსავით არიან, ყველა იმის ცდაშია, კლუბის ხელმძღვანელობას თავი მოაწონოს. ვის არ ნახავ აქ, ევროპელებს, რომლებსაც დრაფტში მონაწილეობა არ მიუღიათ და ამერიკელებსაც.

**— ლებრონ ჯეიმსი თუ გაიცანი–**

— გაცნობით არა, ისე კი რამდენჯერმე ვნახე ვარჯიშისას.

**— „ორლანდოს“ მთავარი მწვრთნელი დოკ რივერსი გავარჯიშებდათ?**

— არა, დოკი გუშინ შემოგვიერთდა, მანამდე მისი თანაშემწეები გვაცლიდნენ სიქას.

**— კონტრაქტის გაფორმებაზე ხომ არაფერი უთქვამთ?**

— არა, ორლანდოელები ჯერ მხოლოდ ვარჯიშებიდან მიცნობენ.

**— თამაშში დღეს საღამოს გნახავენ...**

— დღეს და მომავალი სამი დღის მანძილზე. ვეცდები, ამ შეხვედრებში გამოვიჩინო თავი და საქმე სამომავლოდ არ გადავდო. თუ კარგად ვითამაშებ, ალბათ კონტრაქტსაც დავიმსახურებ.

**— თუ ახლა ვერ დაიმსახურე, სამომავლოდ რას გეგმავ?**

— ამის გარდა „ორლანდო“ კიდევ ერთი-ორ კემპში მიიღებს მონაწილეობას და ახლა თუ არაფერი გამომივიდა, იმ კემპების იმედზელა დავრჩები.

**— „ორალნდო“ — „კლივლენდის“ მატჩი დიდ ინტერესს იწვევს. შენც შანსი გეძლევა, მთელ ამერიკას უჩვენო შენი ძალა...**

— ამ ვითომდა უბრალო მატჩს უდიდესი აუდიტორია ეყოლება. ამ კემპის მხოლოდ ეს მატჩი გაიმართება „ორლანდოს“ მთავარ არენაზე და, როგორც ვიცი, რამდენიმე ტელეკომპანია პირდაპირი ტრანსლიაციით გადასცემს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს ამბები ლებრონ ჯეიმსის გამო ხდება, აქ მას ყველა გენიოსად მიიჩნევს.

**— შენც გექნება ამ გენიოსთან თამაშის „ბედნიერება“...**

— ჯეიმსს აუცილებლად შევხვდები, ისიც და მეც თამაშს სასტარტო ხუთეულში ვიწყებთ. მწვრთნელმა უკვე მითხრა, ძირითადში ითამაშებო. ჰოდა, ბევრი რომ არ ვიწვალო, ლებრონს ერთს დავუფარებ და კონტრაქტიც გარანტირებული მექნება... რა თქმა უნდა, ვხუმრობ. ისე კი, მართლა დიდი მონდომებით ვითამაშებ, ჩასაფრებული ვიქნები ჯეიმსზე. ეგებ მართლა გამიმართლოს და რამეში შევუშალო ხელი.

**ირაკლი პერტაია**

# საკალათბურთო მაკულატურა

*ნბა ახლა უქმობს და მოთამაშეებს დასასვენებელი დრო გამოუთავისუფლდათ, მაგრამ ზოგიერთს მშვიდად დროის ტარება არ აკმაყოფილებს და უფრო მძაფრ შეგრძნებებს ეძებს, რასაც ვინ ნარკოტიკებში პოულობს, ვინ პოლიციელთან ჩხუბში და ვინ სექსთავგადასავლებში. მოკლედ, წარმოგიდგენთ ბოლო დღეების კრიმინალურ ქრონიკას*

## სტუდემაიერი ისევ მარიხუანაზე ჩავარდა

კუზიანს სამარე თუ გაასწორებსო, პორტლენდელი დეიმონ სტუდემაიერის მსგავსებაზეა ნათქვამი. ქეში გამთამაშებელი ისევ „ჩავარდა“ და, ცხადია, კვლავ მარიხუანაზე.

ორშაბათს ნიუ ორლეანში გასამგზავრებლად გამზადებულ სტუდემაიერს ფინიქსის „ტუკსანის“ აეროპორტში 40 გრამი მარიხუანა უპოვეს. დეიმონს ნარკოტიკი საგულდაგულოდ ჰქონდა შენიღბული, ალუმინის კოლოფში მოეთავსებინა, აქაოდა, ნარკოდეტექტორი ვერ აღმოაჩენსო, მაგრამ... აეროპორტის მომსახურე პერსონალს პლანის სუნი რომ ეცა, მყის პოლიციას გამოუძახა და სტუდემაიერიც დააკავეს. დამნაშავე არ გაჯიუტებულა, აღიარა, მარიხუანა ჩემია და მოსაწევად მინდოდაო.

„პორტლენდის“ უფროსობამ სტუდემაიერი უმალ 250 ათასი დოლარით დააჯარიმა. ბოსებმა გადაწყვიტეს, ჯერ თავად ებრძოლონ სტუდემაიერის ამ მავნე ჩვევას, ხოლო შემდეგ გამოსწორებული დემონი (თუკი გამოსწორდა) რომელიმე ანტინარკოტიკულ პროგრამაშიც ჩართონ.

სტუდემაიერს აქამდე ორჯერ ჰქონია ანალოგიური დანაშაულის გამო პოლიციასთან საქმე. შარშან ნოემბერში ის და მისი თანაგუნდელი რაშიდ ეოლესი პლანით გაბუგული მანქანით ქროლვისას დააკავეს, მაგრამ ისე მცირე რაოდენობა მარიხუანა უპოვეს, ხაშხაშმცენარის ერთი ციცქნა ფოთოლიც კი არ გამოვიდოდა და გაუშვეს.



უფრო ადრე კი დეიმონი ბეწვზე გადაურჩა ციხეს. პოლიციამ მას სახლში პლანის მოზრდილი ფუთა აღმოუჩინა, მაგრამ მოსამართლემ, ჩხრეკის დროს სერიოზული დარღვევები მოხდაო და სტუდემაიერი სუფთა ჰაერზე დატოვა.

## დარელ არმსტრონგი ქალს არ დანებდა

ზაზა ფაჩულიას დრაფტზე ამრჩევი „ორლანდო მეჯიქის“ წევრი დარელ არმსტრონგი 1000 დოლარით დააჯარიმეს. 7 ივლისის საღამოს „ჯადოთა“ გამთამაშებელი ერთ-ერთ ორლანდოულ კლუბს სტუმრობდა და შინ რომ ბრუნდებოდა, ქუჩაში დებოში ატეხა. როცა მის დაშოშმინებას პოლიციელი ქალი ტერეზა ჯოისი შეეცადა, არმსტრონგი იქით გაექაჩა ქალბატონს, რომელმაც კალათბურთელს ჯერ მაისური შემოახია, შემდეგ კი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანა.



კლუბიდან გამოსული არმსტრონგი თურმე შუა ქუჩაზე გაჭრილა და მანქანის გაჩერებას ლამობდა. ერთ-ორ კლიენტებით გაძეძგილ ტაქსში შევარდნაც უცდია, მაგრამ წესრიგის დამცველმა მიუსწრო. ორლანდოელს კიდევ კარგად გაუმართლა, მანდილოსან ოფიცერს ჯაჯგურში რამე რომ არ დაუშავდა, თორემ 1000-დოლარიან ჯარიმას ვინ აკმარებდა?!

## მხოლოდ მოფერებაა?

„ლეიკერსის“ სუპერვარსკვლავი კობი ბრაიანტი, ვისაც სექსუალურ ძალადობაში ედება ბრალი, შესაძლოა, მშრალად გამოვიდეს ამ საქმიდან.

ბრაიანტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 4 ივლისს აღიძრა კოლორადოს სასტუმრო „ედვარდსში“ მავან ქალბატონზე ძალადობის გამო. ლეიკერსელმა 25 ათასი უკვე გადაიხადა, რათა სასამართლო პროცესამდე გისოსებს მიღმა არ იყურყუტოს. გამომძიებლები კი ამბობენ, სიმართლის დადგენას ერთი-ორი დღე არ ეყოფა და სცნობენ თუ არა ბრალი დამნაშავედ ალბათ კვირის ბოლომდე ვერ შეიტყობთო.

კოლორადოს იმ ოლქის პროკურორი, სადაც დანაშაული მოხდა, არ გამორიცხავს ბრაიანტის საბოლოო გამართლებას, მაგრამ შემთხვევისა და გამოძიების დეტალებს არ ახმაურებს. ამ დროისთვის კი მხოლოდ ის ირკვევა, რომ ბრაიანტი სასტუმრო „ედვარდსს“ მართლაც სტუმრობდა 30 ივნისიდან 2 ივლისამდე.

სექსუალური ძალადობა მძიმე ბრალდებაა, თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ კოლორადოული კანონების თანახმად, ამ იურიდიული ტერმინის ქვეშ იგულისხმება ნაძალადევი ქმედება, მოფერებიდან გაუპატიურებამდე. ასე რომ, შესაძლოა ბრაიანტს მართლაც დაუმტკიცონ სექსუალური ძალადობა, მაგრამ საკმაოდ იოლ ფორმებში.

**ირაკლი პერტაია**





კობი ბრაიანტს მოსამართლე-პროკურორებთან არასასიამოვნო ურთიერთობანი ელის



*ადრე მას მაიკლ ოუენს ადარებდნენ, ახლა კი დევიდ ბექემს. ოუენთან და ბექემთან მას ბევრი საერთო აქვს. ისიც ინგლისის ნაკრებისა და მსოფლიო დონის ვარსკვლავია. მეტიც, თავის ამპლუაში იგი საუკეთესოა თან იმდენად, რომ მეტოქეებიც კი უკრავენ ტაშს. არადა, ის მხოლოდ ჯონი უილკინსონია. მართალია, მისი 10-ნომრიანი მაისურა მთელ მსოფლიოში თვალის დახამხამებაში იყიდება, მაგრამ ასეთი პოპულარობის მიუხედავად, უილკინსონი ვარსკვლავთმანიას გაურბის. ზოგი ამბობს კიდეც, ვარსკვლავობაზე აცრილიაო. მას ვერასდროს ნახავთ ცნობილი კუტიურიეს ჩვენებებზე, არც პოშ მეუღლე ჰყავს და წარმოიდგინეთ, არც გელფრენდი. არადა, მისი ცისფერი თვალებით, ქერა თმებით და ჩამოქნილი, დაკუნთული სხეულით ჯონის თავისუფლად შეუძლია პოდიუმზე სიარული და ლამაზმანთა გულების დაპყრობა. ის კი მორიდებულ ცხოვრებას ირჩევს, თუ რატომ ამას ამ ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც უილკინსონმა გაზეთ „SUN"-ს მისცა*

# უბრალო ვარსკვლავი

## თავზე ხელაღებული უილკინსონი სექსის, პოდიუმის და შოუს გარეშე

— ჯონი, შენ გელფრენდიც კი არ გყავს...

— ეს ადვილად ასახსნელია. ჯერ ვერ ვიპოვე გოგონა, რომელთანაც რომანის გაბმა მაინც მსურვებოდა.

**— იმაზე რას იტყვი, დევიდ ბექემს რომ გადარებენ?**

— ბექემი ყველაზე ცნობილი სპორტსმენია მსოფლიოში. ასე რომ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა დევიდთან რალაცნაირად მაინც გატოლება. ოღონდ ერთი აქვე დავაზუსტოთ, ბუნებით არ ვარ ისეთი პიროვნება, ნაირგვარ შოუში და ათასი ჯურის სარეკლამო რგოლებში გადამიღონ. ეს ჩემს ხასიათში არანაირად არ ჯდება. მირჩევნია მშვიდი, წმინდა სპორტული ცხოვრებით ვიცხოვრო.

**— მაგრამ ამას წინათ „ჰაკეტის" ტანისამოსში რამდენიმე სარეკლამო ფოტო გადაგიღეს...**

— თქვენ იმ ფოტოებს კარგად დააკვირდით?

**— მე გონი, კი.**

— მერე?

**— მშვენიერია!**

— მე ასე არ ვფიქრობ. ეს ფოტოები რამდენიმე ჟურნალში დაბეჭდეს. დამკვეთები კმაყოფილები დარჩნენ. მე კი მივხვდი, რომ სავარსკვლავო „მატერია" არ ვარ.

**— რატომ?**

— ასე მგონია და რა ვქნა...

— ესე იგი?

— ვამჯობინებ ზოგიერთი საქმე ჩემი სურვილით ვაკეთო, მინდა, უბრალო ვიყო.

**— მერე ეს პოპულარობაში ხელს არ შეგიშლის?**

— რატომ? მე უკვე პოპულარული ვარ და ამას მხოლოდ კარგი თამაშით მივაღწიე. სულაც არ არის აუცილებელი, ტოპტანსაცმელში გამოეწყო და ჰოლივუდელ ქალებს დაერიო. სანამ კარგად ვითამაშებ, პოპულარულიც ვიქნები.

**— კარგად კი არა, ბრწყინვალედ თამაშობ!**

— არა მგონია, ჯერ ბევრი მიკლია.

**— თავმდაბალი ხარ...**

— ასე ფიქრობთ? ძალიან კარგი. ეს ჩემთვის სასიამოვნო კომპლიმენტია.

**— ამასწინათ გამოკითხვა ჩატარდა დ ბევრმა ქალმა სექსსიმბოლოდ დაგასახელა...**

— არა, ღმერთმა დამიფაროს. ამისკენ არასდროს მივილტვოდი. დამიჯერეთ, არ მინდა, ვიყო სექსსიმბოლო.

**— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქალებს გაურბიხარ.**

— ჰა-ჰა-ჰა... ახლა ისიც არ მკითხო, ცისფერი ხომ არ ხარო...

**— არა, არც მიფიქრია.**

— იცი რა არის? მარტო სექსისთვის გოგონას ვერ დავუმეგობრდები. მასში რაღაც უნდა მიზიდავდეს, მომწონდეს. მოდით ამ თემაზე აღარ ვილაპარაკოთ.

**— კარგით, ერთი კითხვაც და მოვრჩეთ. როგორც ვიცი, უამრავ სასიყვარულო ბარათს და წერილს ღებულობთ. რა რეაქცია გაქვთ?**

— ძალიან მსიამოვნებს. ზოგიერთს ვპასუხობ კიდეც. ოღონდ ერთი კითხვა არ მასვენებს — ნეტავ რა დაინახეს ჩემში ისეთი, რომ სექსს მთავაზობენ?

**— ალბათ ის, რომ ძალიან მაგარი ბიჭი ხარ!**

— მხოლოდ მოედანზე!

**— ისე, მართალი ხარ. მოედნის გარეთ „მაგარი ბიჭის" იმიჯს არ იქმნი...**

— რა საჭიროა? ჩემს მაგარ ბიჭად ჩამოყალიბებაში ბევრმა ადამიანმა შეიტანა წვლილი. რასაც ახლა წარმოვადგენ, ამისთვის მარტოს რომ მიმეღწია, სხვა საქმეა.

**— ბევრ ხალხში ალბათ მშობლებსაც გულისხმობ, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს შენს ძალიან კარგ სპორტსმენად ჩამოყალიბებაში?**

— რა თქმა უნდა, ჩემი მშობლების გარეშე ვერაფერს მივაღწევდი. ბავშვობაში ვოცნებობდი, რომ მსოფლიოს დონის ვარსკვლავი ვყოფილიყავი. მამაჩემი ფილი, რომელიც ჯერ მორაგბე იყო, მერე კი კრიკეტს თამაშობდა და სხვათა შორის, მაღალ დონეზე, სულ თავზე მევლებოდა და ძალიან ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა.

**— დედაც სახელიანი სპორტსმენია...**

— ჰო, ფილიპა ინგლისის ჩემპიონი იყო სქვოშში (კედლის ჩოგბურთი). ჩემი კარგი თამაშით მათ მადლობას ვუხდი.

**— მოდი, პირდაპირ თქვი, შენი კლუბი „ნიუკასლი" საკმარის ფულს გიხდის?**

— როგორ არა, სეზონში 350 000 ფუნტს ვიღებ. ასეთი კონტრაქტით ბევრი ჩემზე სახელიანი მოთამაშე ვერ დაიკვეხნის. მე კმაყოფილი ვარ.

**— რისკი გიყვარს?**

— მეტიც, თავზეხელაღებული კაციც ვარ. ოღონდ მხოლოდ მოედანზე. ზოგჯერ ისეთ ზედახორაში შევყოფ ხოლმე თავს, რომ დიდი შანსია, კარიერა იქვე დავასრულო. არადა უმეტეს შემთხვევაში ამ ჯაჯგურში თავის შეყოფა საერთოდ არ მევალება.

**— არ შეიძლება არ გკითხო, შენი ჯადო ცაციის ამბავი.**

— არაფერი განსაკუთრებული. ის რომ ცაციათი მარჯვენაზე უკეთ ვურტყამ, მხოლოდ დიდი შრომის ნაყოფია. მახსოვს, 16 წლის ვიყავი, სახლთან ახლოს რაგბის მოედანი იყო. ხუთი საათის განმავლობაში კარში ცაციათი ვურტყამდი. დედაჩემი მეხვეწებოდა, საჭმელი ჭამე და ცოტა დაისვენეო. მე კი სანამ კუნთი არ დამეჭიმა, არ მოვეშვი. ერთ-ერთ მატჩში ხუთი ურთულესი დარტყმა შევაგდე და, როცა სახლში დედასთან ერთად ვბრუნდებოდი, მან მაშინ გამახსენა ეს ამბავი.

**— და ბოლოს, თვლი, რომ ბედნიერი ხარ?**

— ბოლომდე არა. სრული ბედნიერებისთვის მოსიყვარულე მეუღლე და შვილები მაკლია.





## ტურ დე ფრანსი 2003

# არმსტრონგმა საქმე გამონახა, უსაქმოდაა



REUTERS სენ დი ზიედან

იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ სამი ეტაპიდან ორი მოიგო

ტურ დე ფრანსის პირველი ეტაპები გასახურებელი მნიშვნელობისაა და, პრინციპში, არც არაფერს წყვეტს, ამიტომაცაა, რომ ფავორიტები და მართლა ძლიერები ჯერჯერობით პედალს დუნედ აჭერენ ტერფს და პელოტონში ჩაკარგულან. რაღა შორს წავიდეთ, თუნდაც, ლენს არმსტრონგი ავიღოთ. ტურის ოთხგზის მომგები ამერიკელი წინ არ ხტის და ველომრბოლთა მასიდან გამორჩევას არც ესწრაფვის, ამის გამოც პროლოგისა და სამი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში მხოლოდ მე-12 ადგილი დაუჭერია. ის პირველადგილოსან მავან ჟან-პატრიკ ნაზონს 19 წამით ჩამორჩება, რაც პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს. ამერიკელი ამ სხვაობას პირველივე გორაკის გადავლისას გააუქმეს.

სანამ მთები შეხვდებათ და არმსტრონგი და მისი შედარებით ყოჩაღი მდევრები საერთო ჩათვლაში ალზევდებოდნენ, ლიდერები, სწორედაც შემთხვევითი ბიჭები არიან. ერთი ეტაპის მოგება, მით უმეტეს ვაკე გზაზე იმ მრბოლებსაც ფეხეწიფებათ, რომლებიც როგორც წესი, პელოტონის კუდში მიჩანჩალებენ. გაიჭირვებს რომელიმე გაჭირვებული, 2-3 საათით, დააწვება პედლებს და მოექცევა ველომასას თავში. გუნდების შემოსავლის ლამის ერთადერთი წყაროც ხომ ესა — წინ გაქცეულს ხომ კამერა ამედენად მთელი საფრანგეთი და ბევრიც სხვა ქვეყანა უყურებს — ჩანს რეკლამებით აჭრელებული მრბოლის ზურგი, რეკლამა კი — თქვენც მოგეხსენებათ — იმისაა, რომ გამოჩნდეს და დაინახონ.

იმას ვამბობდით, სამი ეტაპის შემდეგ ტურის საერთო ჩათვლაში შემთხვევითი კაცი დაწინაურდაო. ჟან-პატრიკ ნაზონი „ჟან დელატურიდან", რაც ტური დაიწყო სულ პელოტონის თავშია და თუმც ეტაპი არ მოუგია, მაინც გაასწრო ასევე შემთხვევით ლიდერს, ავსტრალიელ ბრედლი მაკგის. ეჭვი გვაქვს, ნარზონი უახლოეს ეტაპებში დაკარგავს ლიდერის ყვითელ მაისურას, თუმც მაინც ალვნიშნოთ, რომ ის ბოლო ორ წელში მხოლოდ პირველი ფრანგია, ვინც ტურში გალიდერება თუნდაც დროებით მაინც მოახერხა.

რაც შეეხება მესამე ეტაპს, აქ ყველას აჯობა საკმაოდ ძლიერმა იტალიელმა მრბოლმა ალესანდრო პეტაკიმ, რომელმაც ორი დღის წინ პირველი ეტაპიც მოიგო, მაგრამ ამის მიუხედავად არმსტრონგისა არ იყოს, ჯერჯერობით არც ის წერია საერთო ლიდერებში.

შარლევილიდან სენ დიზიემდე გაჭიმული 167-კილომეტრიანი გზა არც მაინც და მაინც თავგამოდებით გაუვლია ლენს არმსტრონგს, იგი პირველ 30-ეულშიც კი ვერ მოხვდა, თუმც, როგორც ცოტა ზევით მოგახსენეთ, ეს ოდნავადაც არ აშფოთებს, ის თავის დროს მშვიდად ელის. ისე არმსტრონგმა მთებამდეც გამონახა საქმე და გუშინ თქვა, ხვალინდელ გუნდურ რბოლას გარკვეულ მნიშვნელობას ვანიჭებო. დღეს სენ დიზიედან ჟოინვილამდე 68 კილომეტრზე გაჭიმულ მეოთხე ეტაპს გუნდები ცალცალკე გაივლიან. არმსტრონგის გუნდს „US პოსტალს" არასდროს მოუგია გუნდური ეტაპი და არმსტრონგს ამის ინტერესი თუ გაუჩნდა.

**კოტე ყორშია**

**III ეტაპი. 8 ივლისი**

**შარლევილი — სენ დიზიე 167კმ**

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3სთ 27წთ 39წმ
2 რომანს ვაინშტეინსი (ლიტვა, ვინი კალდორია)
3 ოსკარ ფრეირი (ესპანეთი, რაბობანკი) ორივე იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 ჟან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი, ჟან დელატური) 12სთ 25წთ 59წმ
2 ბრედლი მაკგი (ავსტრალია, FDJeux.com) + 8წმ
3 დევიდ მილარი (ბრიტანეთი, კოფიდისი) + 12წმ



REUTERS სენ დი ზიედან

რენე ჰასელბახერს მარცხი შეემთხვა

უიმბლდონი 2003 საპრიზო 17 074 000 $

# ისტორია ორი ადამიანით

## მარტინა და როჯერი: ორი განუმეორებელი და განსხვავებული



მარტინა ჰინგისი

როჯერ ფედერერის წლევანდელმა საარაკო უიმბლდონობამ, სადაც ის პირველი სლემტიტულოსანი შვეიცარიელი ხვადი შეიქნა, თვით საქმეში ყველაზე ჩაუხედავ ხალხსაც კი 1997 წლის უიმბლდონობა მოაგონა. ეგებ თქვენც გახსოვდეთ — იმ წელს ფედერერის თავისტომმა და მერძინდელმა მეჯუფთე გოგო მარტინა ჰინგისმა შვეიცარიას მისი პირველი უიმბლდონური სლემჯილდო მოუნაგრა.

მარტინა ახლა ჯერაც 22 წლის ცუგრუმელა გოგოცუნაა, როჯერს კი ამდენივე ერთ თვეში, რვა აგვისტოს უნდა შეუსრულდეს. მაგრამ მათზე უფრო განსხვავებული კარიერებისა და ხასიათთა წარმოდგენაც კი ძალზედ ძნელია.

„ჰო, ისინი აბსოლუტურად არამსგავსი ტიპები არიან" — ამბობს შვეიცარიის საჩოგბურთო ფედერაციის პრეზიდენტი კრისტინ უნგრიხტი.

სპარტანულად, სავარჯიშოდან სატურნირო კორტებამდე გაუთავებლად მომთაბარე მარტინა მთავარსათაურებში სიყმაწვილეშივე აღზევდა, როცა ჯერაც 16 წლისამ ამქარში გაპირველება მოახერხა. მის ფანტასტიკურ საჩოგნაო წარმატებებზე არანაკლებ მასმედიას მისი ჭინჭყლობანი და გოგოშკური უტიფრობებიც ატყვევებდა, რომელთა უმეტესი ნაწილიც მისი დედისა და მწვრთნელის, მელანი მოლიტორის წინააღმდეგ იყო მიმართული.

როჯერი კი ყოველთვის თავმდაბალი, ამოდ მოუბარი ჭაბუკი იყო და — მართალია, საზევარსკვლავოდ უკვე 1998 წელს შეიგულეს, როცა იუნიორთა შორის უპირველესი საფეხური დაიპყრო — მარტინასთან შედარებით ამობრწყინებამდე ხუთი წლით ლოდინი დასჭირდა.

მის წარმატებას მრავალნი მასთან ერთად მომუშავე გუნდის — მწვრთნელების, ოჯახისა და პირბუთქუნა ნანდაურის, მიროსლავა ვავრინეცის ერთობლივი გარჯის ნაყოფად მიიჩნევს.

„ისინი მართლაც სრულიად განსხვავებულ გზებზე იდგნენ — დასძენს უნგრიხტი — მაგრამ ორივე გამორჩეული მოთამაშეა და როჯერი ახლა იმასვე აკეთებს, რასაც მარტინა წინა წლებში აკეთებდა — ის შვეიცარიული სპორტის ისტორიას წერს."

ორშაბათს იქაური „ბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰინგისი თვისტომის წარმატებას ასე შეეხმიანა: „ჩემი მხუ რვალე მილოცვები მას! როჯერმა დიდოსტურად ითამაშა, ეს ძალზედ შთამბეჭდავი გამარჯვება იყო. უიმბლდონის მოგება ზღაპრული, დაუვიწყარი ამბავია."

მიმომხილველთა **აზრით**, ფედერერის წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ისიცაა, რომ როჯერი ძალზედ მშვიდი პიროვნებაა და ამღვრეულ საკორტო თუ კორტისგარე მიეთ-მოეთში არასოდეს ჰკარგავს კონცენტრაციას, არასოდეს სცილდება „საჩოგბურთო თემატიკას".

„მე მას სიყმაწვილიდან ვიცნობ — განაგრძობს უნგრიხტი — ის ძალზედ რელაქსირებული ბიჭია. გადასარევი ურთიერთობა აქვს მედიასთან, ცდილობს — მთლიანად საქმეზე იყოს ფოკუსირებული. ძალზედ გულწრფელია და კარგ ხუმრობაზეც ჰალალად რეაგირებს."

მაშინ, როცა მისი შვედი მწვრთნელი პიტერ ლუნდგრენი და ფიზმომზადების სპეციალისტი პაველ კოვაჩი მის სიჩაუქესა და სათამაშო სტრატეგიაზე ზრუნავენ, მისი 25 წლის ნანდაურ მიროსლავა ვავრინეცი სპონსორებთან საქმეების მომკვარახჭინებლისა და პრესმდივნის ფუნქციებს ასრულებს.

როგორც მისი მამა რობერტი აღიარებს, ოჯახი არასოდეს ცდილა, ბიჭი მაინცდამაინც ჩოგბურთის თამაშზე დაეყოლიებინა: „ეს თავად როჯერის არჩევანი იყო. ჯერ კიდევ ერთი ბეწო, ის ქუჩაში უკვე ჩოგნით დარბოდა... ოჯახი კი მას ძალიან უყვარს და როცა დრო გამოუჩნდება, უმალ შინ ბრუნდება ხოლმე."



როჯერ ფედერერი და მისი ყველა მიროსლავა ვავრინეცი

ფედერერები ბაზელში ცხოვრობენ.

ჩოგბურთიდან გადამდგარი პრინცესა მარტინა კი ციურიხის მახლობლად მოსახლეობს...

ცხადია, როჯერს ამ დღეებში მასზეც დაეკითხნენ.

„მარტინა ჩემზე მხოლოდ ერთი წლითაა უფროსი. მე ახლა ვიწყებ, მან კი უკვე ამდენს მიაღწია და წავიდა... ის ახლაც ძალიან უყვართ, თუმცა მას არც მოშურნეები ჰყავდა ცოტა. ის ხომ ასეთი ნორჩი, ასეთი სახელგანთქმული, ასეთი კარგი, ასეთი მდიდარი იყო... ეტყობა, შვეიცარიელთათვის ამის მიღება ძნელი გამოდგა."

როჯერის აზრით, მარტინას წასვლამ შვეიცარიულ ჩოგბურთში დიდი ნაპრალი გააჩინა და ის ხვდება, უმარტინოდ დარჩენილ პატარა ალპელ მეჩოგნეთა შეგულიანება ახლა სწორედ მას რომ მოუწევს.

მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება, რადგან საამისოდ მან ჩოგბურთის მწვერვალზე გაჩერება უნდა შეძლოს.

ამას კი მხოლოდ ერთეულები ახერხებენ.

როჯერ ფედერერი: „შეხედეთ თანამედროვე პროფესიონალებს — ისინი ამდენს თამაშობენ, ამხელა წნეხის ქვეშ არიან. ძლებ მხოლოდ მაშინ, თუკი საქმე გსიამოვნებს, საქმით ერთობი, მაგრამ ამ გართობას დაუღალავი, ყოველდღიური შრომა სჭირდება. დიახ, ისე არაფერი მოდის."

**ლევან ძელაურაძე**

# ნაუიმბლდონევი აიწონა-დაიწონა



მარკ ფილიპუსისი

ესეც ასე:

ნაუიმბლდონევს ქულათა დათვლის დროც დადგა. ამასთან — თუკი კაცებს დასათვლელი უფრო მეტი აღმოაჩნდათ, ქალებთან სიტუაცია თითქმის უცვლელია.

ბუნებრივია, კაცთაგან ყველაზე მეტად როჯერ ფედერერმა, უიმბლდონობის უდავო ჩემპიონმა იხეირა. შვეიცარიის პირველი მესლემტიტულე კაცი ჩემპიონთა რბოლას სათავეში მოექცა, ხოლო 12-თვიან რეიტინგსიაში კარიერის უმწვერვალეს, მე-3 ადგილზე შედგა.

მის მიერ ფინალში ძლეულმა ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა ჩემპიონთა რბოლაში აქამდე პყრობილი 34-ე ადგილი მე-8-ზე გადაცვალა, თუმცა 12-თვიანი ნუსხის ზეოცეულამდე აღზევება მაინც ვერ შეძლო.

ჩემპიონთა რბოლაში შესამჩნევად აიზიდნენ უიმბლდონის ნახევარფინალისტი სებასტიან გროჟანი (რომელმაც 12-თვიანშიც 5 ადგილით აიწია) და მეოთხედფინალისტი სხენგ შალკენი.

ყველაზე შთამბეჭდავი ვარდნა შარშანდელმა ჩემპიონმა ლეიტონ ჰიუიტმა და ფინალისტმა დავიდ ნალბანდიანმა განიცადეს. ჰიუიტი 12-თვიანის მეორიდან მეხუთემდე ჩაქვეითდა (ასეთ სიმდაბლეზე ის 2001 წლის აგვისტოს მერე აღარ მდგარა), ხოლო ნალბანდიანი სულაც 10 ადგილით დაჩიავდა.

რაც შეეხებათ ქალებს, აქ პირველი ათეული საერთოდ არ განძრეულა, მეორეში კი მეოთხედფინალისტმა სილვია ფარინა ელიამა და მეოთხე წრემდე ნაჩოგნავებმა აი სუგიამამ და ვერა ზვონარიოვამ იმატეს.



სებასტიან გროჟანი

## 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

### ვაჟები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ანდრე აგასი (აშშ) | 4090 |
| 2 | (3) | ხუან ფერერო (ესპანეთი) | 3875 |
| 3 | (5) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 3575 |
| 4 | (4) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 3160 |
| 5 | (2) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 2945 |
| 6 | (6) | ენდი როდიკი (აშშ) | 2765 |
| 7 | (7) | გილერმო კორია (არგენტინა) | 2250 |
| 8 | (8) | რაინერ შიუტლერი (გერმანია) | 2000 |
| 9 | (14) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1950 |
| 10 | (10) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1845 |
| 11 | (11) | პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1835 |
| 12 | (12) | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1715 |
| 13 | (13) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1575 |
| 14 | (15) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1421 |
| 15 | (17) | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1410 |
| 16 | (18) | აგუსტინ კალიერი (არგენტინა) | 1405 |
| 17 | (16) | მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) | 1392 |
| 18 | (19) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1370 |
| 19 | (9) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1345 |
| 20 | (21) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1300 |

### ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | სერენა უილიამსი (აშშ) | 6060 |
| 2 | (2) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 5721 |
| 3 | (3) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 4705 |
| 4 | (4) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4216 |
| 5 | (5) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3626 |
| 6 | (6) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2932 |
| 7 | (7) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2578 |
| 8 | (8) | ჩანდა რუბინი (აშშ) | 2434 |
| 9 | (9) | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2078 |
| 10 | (10) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1990 |
| 11 | (14) | აი სუგიამა (იაპონია) | 1763 |
| 12 | (12) | ელენა დოკიჩი (სერბეთი) | 1759 |
| 13 | (11) | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1700 |
| 14 | (13) | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1665 |
| 15 | (17) | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1601 |
| 16 | (15) | ამანდა კუცერი (სამ. აფრიკა) | 1547 |
| 17 | (16) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1483 |
| 18 | (20) | მეგან შონესი (აშშ) | 1413 |
| 19 | (19) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1401 |
| 20 | (25) | სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1384 |

## ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (4) | ფედერერი | 545 |
| 2 | (1) | ფერერო | 537 |
| 3 | (2) | აგასი | 472 |
| 4 | (3) | კორია | 372 |
| 5 | (7) | როდიკი | 370 |
| 6 | (5) | შუტლერი | 349 |
| 7 | (5) | მოია | 319 |
| 8 | (34) | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 245 |
| 9 | (8) | მანტია | 235 |
| 9 | (8) | ვერკერკი | 235 |
| 11 | (24) | გროჟანი | 230 |
| 12 | (10) | კუერტენი | 225 |
| 13 | (11) | კალიერი | 222 |
| 14 | (12) | ჰიუიტი | 208 |
| 15 | (13) | კოსტა | 201 |
| 16 | (15) | რობრედო | 185 |
| 17 | (26) | შალკენი | 184 |
| 18 | (16) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 176 |
| 19 | (14) | უეინ ფერეირა (სამ. აფრიკა) | 173 |
| 20 | (23) | ნალბანდიანი | 171 |

# მიხაელს შუმახერი გამოსცდის

## რალფი უფროს ძმასთან შეჯახებაზე ოცნებობს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

*ფორმულა 1-ის 2003 წლის სეზონი წინამორბედზე აშკარად საინტერესოდ გამოიყურება. შარშან მიხაელ შუმახერმა მისხალი შანსიც კი არავის მისცა, ახლა კი შუმის ისევე იდეალურად როდი მისდის საქმე. მან ცუდად დაიწყო და ჩამორჩა „მაკლარენის“ ახალგაზრდა მრბოლ კიმი რაიკონენს, ხოლო როცა სეზონის შუაში ფინელი უკან მოიტოვა, უილიამსელი ბიჭები წამოეწივნენ, რომლებმაც ამ ოთხ რბოლაში მიხაელზე მეტი ქულა მოიხვეჭეს და უპირატესობაც შესამჩნევად შეუთხელეს*

*დარჩენილ ექვს რბოლაში მიხაელს დიდი ჯაფა დაადგება უილიამსელების მოგერიებაში. განსაკუთრებით უმცროსი ძმა რალფი გაურთულებს ცხოვრებას, რომელმაც ბოლო ორი რბოლა მოიგო და ამაზე არ აპირებს გაჩერებას. არც მეორე უილიამსელი ხუან პაბლო მონტოია ჩამოსაწერი. შავტუხა კოლუმბიელმა ეს ორი რბოლა — ევროპისა და საფრანგეთის დიდი პრიზები მეორე ადგილზე დაასრულა.*

*საფრანგეთის დიდი პრიზისთვის დავაში მიხაელ შუმახერი უილიამსელთა ზურგსუკან მესამე იყო და ნარბოლევს მათთან ერთად პრესკონფერენციაზე მისული არცთუ ხალისით პასუხობდა კითხვებს, ერთხელ უმცროს ძმასაც კი უკბინა.*

*გთავაზობთ ამ პრესკონფერენციას მცირედი შემოკლებით*




ხუან პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი მიხაელს დარჩენილ რბოლებში მაგრად გააწვალებენ

**— რალფ, ეს რვა დღე შესანიშნავი გამოდგა თქვენთვის, არა?**

**რალფი:** გადასარევი, ჯერაც ვერ დამიჯერებია, რომ ზედიზედ ორი რბოლა მოვიგე, თანაც ახლა ეს პოულიდან მოვახერხე. რბოლის ბოლოს მცირეოდენი პრობლემები შემექმნა, ხუანთან ბრძოლა გამიჭირდა და საბურავების მეორე კომპლექტიც ვერ გამოდგა სათანადო. რბოლის დასაწყისში კი ყველაფერი კარგად წამივიდა.

**— პირველ წრეებში თქვენ პირდაპირ გაქრით თვალსაწიერიდან...**

**რალფი:** მანქანა რაც შეიძლება კარგი სტარტისთვის იყო მომზადებული, რადგან, წინა რბოლაში, „ნიურბურგრინგზე“ სტარტზე მაგრად გავწვალდი. ახლა კი პოულ-პოზიცია მქონდა და გუნდში ყველაფერი ვილონეთ, კარგად რომ დაგვეწყო.

**— რას იტყვით მეალმეებზე? მათ თითქოს შეგაფერხეს...**

**რალფი:** ჰო, ყოველთვის ერთი და იგივე პრობლემაა. იარნო ტრულის ერთი წრით ვუსწრებდი და მეალმეებმა ლურჯი ალამი გამოფინეს, ტრულის გზის განთავისუფლების ნიშანი მისცეს, მაგრამ ამავდროულად გამოჩნდა ყვითელი ალამი, ხიფათის, ტრასაზე დასხმული ზეთის ნიშანი. ამ ალმის გამო გასწრება არ შემეძლო და მეც ტრულის უკან შევყოვნდი. გასაგებია, მეალმე ბიჭები ცდილობენ, ოპერატიულად გააკეთონ თავიანთი საქმე, მაგრამ ზოგჯერ სიტუაციაში ვერ ერკვევიან და ეს დაბნეულობის, დროის დაკარგვის მიზეზი ხდება.

**— გზაზე დასხმულმა ზეთმა რამდენად შეგაფერხათ?**

**რალფი:** არც იმდენად. საქმე ისაა, რომ ყვითელმა ალამმა შეიძლება დაგაფეთოს და სულელურ მდგომარეობაში ჩაგაგდოს. თუკი შვიდი წელი ფორმულაში ხარ და თითქმის არაფრის გამო დაფეთდები, დამიჯერეთ, ძალიან სულელად გამოჩნდები კაცი.

**— ხუან პაბლო, გახარებული ხართ მეორე ადგილით?**

**მონტოია:** კი. პირველ წრეებზე ცოტა კი გამიჭირდა, მანქანა მთლად წესრიგში ვერ იყო და ყოველ ნახევარ წრეში ბოქსებს ვეხმიანებოდი, ვამოწმებდი, ხომ არაფერი მიჭირს-მეთქი. მერე ყველაფერი უკეთ წავიდა, რამდენიმე კარგი წრე მქონდა და რბოლის რეკორდიც დავამყარე. რალფსაც მივუახლოვდი, მაგრამ არა იმდენად, რომ საბოლოო გამარჯვებაზე მეფიქრა.

**— ბორბლებმა ხომ არ გიღალატათ?**

**მონტოია:** არა, ბორბლები ძალიან გამომადგა. ეგაა, ვიცოდი, რომ მაინც ვერ მოვახერხებდი შეტევას. ეს ისეთი სიტუაციაა, როცა შანსი არა გაქვს, ვინმეს გადაუსწრო და უბრალოდ, შენი ადგილის შენარჩუნებას ცდილობ.

**— ბოლო წრეებში მიხაელს კი მიეცით წამოწევის უფლება და...**

**მონტოია:** ჰო, ათი წრე იყო დარჩენილი და მიხაელს 20 წამს ვუგებდი, ასე რომ, მეორე ადგილის დაკარგვას არ ვდარდობდი, უბრალოდ, მანქანას ვუფრთხილდებოდი.

**— მიხაელ, მონტოიამ ტემპი რომ დააგდო, თქვენ პირიქით, მეტად მოინდომეთ...**

**მიხაელი:** მე გავაგრძელე ჩემი საქმე, რადგან კაცმა არ იცის, რა შეიძლება მოხდეს.

**— თქვენი მანქანა თავს როგორ გრძნობდა?**

**მიხაელი:** ისევე კარგად, როგორც ყოველთვის. ცოტა გაგვაწვალა საბურავების მეორე კომპლექტმა.

**— მიხაელ, სეზონის დაწყებამდე ამბობდით, რომ თქვენი ახალი მანქანა ფანტასტიკურიაო. ახლაც მაგ აზრზე დგახართ?**

**მიხაელი:** ჩვენ კარგი მანქანები გვყავს, მაგრამ არც „უილიამსს“ დაეწუნება.

**— „უილიამს-ბმვ“-ს წინსვლა არ გაშფოთებთ? უილიამსელებმა ორ რბოლაში ორი დუბლი შეასრულეს.**

**მიხაელი:** ცხადია, უნდა იფიქრო ამაზე. ჩვენ ვაკვირდებით მათ საქმიანობას და, რა თქმა უნდა, ვმუშაობთ ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**— თქვენმა ბორბლების მომწოდებელმა ფირმა „ბრიჯსტოუნმა“ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თქვენს წარმატებას. ცხადია, ახლა არ არის პანიკის დრო, მაგრამ ბოლო დროს თითქოს „ბორბლებში“ „გღალატობთ“ და ხომ არ თვლით, რომ სხვა მომწოდებლის მონახვის დრო დადგა?**

**მიხაელი:** არა, ჩვენ კვლავ ერთად ვრჩებით და გავაგრძელებთ მუშაობას, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გეგმაში კი გვაქვს რაღაცის შეცვლა.

— მაინც რისი?

**მიხაელი:** თქვენ რომ გითხრათ, რალფიც გაიგებს. მოგვიანებით იქნებ გაგიმხილოთ ზოგი საიდუმლო.

**— როგორ ფიქრობთ, „ბრიჯსტოუნის“ ბორბლების გარეშე მოახერხებთ გამარჯვებას?**

**მიხაელი:** ბორბლების გარეშე საერთოდ ძნელია რბოლა.

**— ღელავთ თუ არა იმის გამო, რომ ტესტებისთვის ეს ერთი კვირა გაქვთ, მერე კი სექტემბრამდე ვერ მოახერხებთ ვარჯიშს?**

**მიხაელი:** ყველა მსგავს სიტუაციაში არაა?!

— შეკითხვა სამივე მრბოლს: როგორ შეაფასებდნენ ისინი მომავალი რბოლის, „სილვერსტოუნის“ შანსებს?

**რალფი:** ძნელია თქმა, „სილვერსტოუნი“ რთული ტრასაა...

**მიხაელი:** შენ ასე ფიქრობ?

**რალფი:** კარგი, მაშინ დავიცადოთ და ვნახოთ, ვინ მოიგებს. იმედი მაქვს, ბოლო ეტაპებზე მაგრად დავუდგებით ერთმანეთს.

**მიხაელი:** მეც ეგრე ვფიქრობ, კარგი გამოცდა გველის სილვერსტოუნში.

**მონტოია:** ძნელი რბოლა იქნება. კარგად წავარჯიშება გვმართებს. თანაც ახალი საბურავები მივიღეთ და უნდა გავსინჯოთ.

**— შეკითხვა რალფს: მგონი, პირველად გამოიყურებით, როგორც მეორე შუმახერი, ჩემპიონობასთანაც ახლოს დგახართ. რას იტყვით, მოახერხებთ საბოლოო გამარჯვებას?**

**რალფი:** ჰოო, ფორმულა 1-ში მოსული ყველა მრბოლის მიზანი ჩემპიონობაა. მე დიდი ხანია, ველოდები ამას. ეს სეზონი განსაკუთრებული გამოდგა, ტიტულის შანსი რამდენიმეს აქვს და მათ შორის ინტერვალი ერთობ მცირეა, მაგრამ ჩემს შანსებზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ. სეზონის დამთავრებამდე რამდენიმე რბოლა დარჩა. დავიცადოთ და მერე გავაგრძელოთ საუბარი.



# დეტროიტს ფიოდოროვი გაექცა და ჰაშეკი დაუბრუნდა

სერგეი ფიოდოროვისა და დეტროიტის 13-წლიან შეხმატკბილებულ ურთიერთობას ბოლო მოეღო. ცნობილი იყო, რომ მოთამაშისა და კლუბის მოლაპარაკება საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, მაგრამ ასეთ დასასრულს ალბათ არავინ ელოდა.

„ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ სერგეიმ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო წასვლის თაობაზე, ჩვენ უკვე ჩავაყენეთ კლუბის მესვეურები საქმის კურსში“ — განაცხადა ფიოდოროვის აგენტმა პეტ ბრისონმა. სერგეის თქმით, დღესდღეობით მისით უამრავი კლუბია დაინტერესებული. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ესენი ძირითადად კალიფორნიული გუნდებია. ისიც ითქვა, რომ ჰოკეისტმა უკვე მოაწერა წინასწარ ხელშეკრულებას ხელი ანაჰაიმთან. საკმაოდ ორიგინალური აზრი გამოთქვა ყოველივე ამის თაობაზე დეტროიტის მფლობელმა მაიკ ილიჩმა: „ზოგჯერ ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი რომ უყვართ, ერთ-ერთი მათგანი უფრო შეყვარებულია და ჰგონია, რომ მეორეც სრულად იზიარებს მის გრძნობას. ყოველთვის მეგონა, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან.“

საინტერესოა, რომ ფიოდოროვმა ძალიან ხელსაყრელი წინადადებები უარყო, მათ შორის 5-წლიანი და 50-მილიონიანი კონტრაქტი. „მისმა ყოფილმა აგენტებმა დაარწმუნეს, წლიურად 13-მილიონიანი ხელფასის ღირსი ხარო და მასაც თავში აუვარდა“ — განაგრძობს ილიჩი. მართლაც გაუგებარია ფიოდოროვის სიჯიუტე. მან ხომ სწორედ ამ გუნდში დალაშქრა ყველა მწვერვალი — გახდა თასის სამგზის მფლობელი და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტი. თუმცა ვინ იცის, რა ტრიალებს ფიოდოროვის გულში? ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შევაჯამოთ მისი დეტროიტული კარიერა: 13 წლის განმავლობაში ფიოდოროვმა 400 გოლი და 554 პასი მიითვალა. გარდა მოგებული თასებისა, ერთხელ ლიგის უძვირფასესი მოთამაშეც გახდა (1994) და ორჯერ დაცვაში მარჯვე ფორვარდის ტიტულიც მოიპოვა (1994, 96).

სხვათა შორის დეტროიტში საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა. ჯერაც არ გადაწყვეტილა მეკარის პრობლემა. დომინიკ ჰაშეკმა გუშინ განაცხადა, რომ ყაბულსაა, მომავალ სეზონში დეტროიტში 8 მილიონიანი კონტრაქტით დაბრუნეს. კერტის ჯოზეფი კი სულაც არ მოითხოვს გაცვლას (თვით გუნდს მისი ტრეიდის უფლება არა აქვს). ასე რომ, ვინ დარჩება გუნდში, ჯერ არავინ იცის.

დაბოლოს, დენვერის მასმედიის ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, პატრიკ რუა დაბრუნებას აპირებს. მოგეხსენებათ, ერთი თვეა, რაც 39 წლის მეკარემ კარიერა დაასრულა, მაგრამ, როგორც ჩანს, „წმინდა პატრიკი“ გუნდის ერთობ გაძლიერებამ შთააგონა და მზადაა, კიდევ ერთხელ სცადოს თასის მოგება. ასე რომ, აირია ნჰლ.



დომინიკ ჰაშეკი ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნჰლ-ში ბრუნდება

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS პამპლონიდან

# ხარზე ოდნავ წინ

ესპანური ნავარას მთავარქალაქ პამპლონაში ყოველწლიური ფიესტა დაიწყო, რომლის დროსაც ქუჩებში ხარებს გამოყრიან, თავზეხელაღებული მოქალაქენი კი ცდილობენ გაექცნენ, ოღონდ ძალიანაც არ გაუსწრონ — სხვაგვარად ადრენალინს როგორ გამოიყოფენ. პამპლონური ფიესტისას ჩვეულებრივი ამბავია ხარის რქებზე წამოგებული ადამიანების სიმრავლე. წლეულს კი ჯერჯერობით არავინ დაღუპულა. ჯერჯერობითო, ვამბობთ, რადგან ზეიმი ერთ კვირას გაგრძელდება.


REUTERS სედანიდან

# შვილით და უსედანოდ

ტურ დე ფრანსის მეორე ეტაპი ფერტე-სუ-ჟურეში დაიწყო და სედანში დასრულდა, ამ ორ დასახლებულ პუნქტს კი 204,5 კილომეტრი ჰყოფს. გვარიანი მანძილია და „ტელეკომის“ მრბოლი ერიკ ზაბელიც შორ გზაზე დამდგარი ემშვიდობება თავის ცოლს. აი, ჟან დელატურის გუნდის წევრ ფრედერიკ ფინოს კი რბოლის დასრულების მერე ჩაუხუტებია შვილი და ტირის. რა ატირებს? ის, რომ მისთვის რბოლა 190-ე კილომეტრზე შეწყდა — წაიქცა და ველოს ველარ შეახტა. არადა, სედანამდე რა ცოტა რჩებოდა.



REUTERS სან პაულოდან

# უბრალო გაკვეთილი

ამერიკელი პროფესიონალი კალათბურთელები სადაც გინდა ჩავიდნენ, იქაურ სპორტსმენთათვის დიდი ამბავი და სკოლაა. აი, ნბა-ელებს ტურნე მოუწყვიათ ბრაზილიაში, რომლისთვისაც „NBA ლათინოს უნიდოს ტურ 2003“ უწოდებიათ და სანპაულოელ ყმაწვილებს თამაშის საიდუმლოებებს უხსნიან. სან ანტონიოს მწვრთნელი მაიკ ბუდენჰოლცერი ბრაზილიელ ბიჭებს დაცვაში ჩადგომას ასწავლის, ხოლო სანანტონიოელივე ემანუელ ჯინობილი უხსნის, ბურთი აი, ასე უნდა სტყორცნოთო.



REUTERS სან პაულოდან



REUTERS სედანიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge